ბურჯი ეროვნებისა

1–3
2005

975/2
2005



ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ნინო (ციცინო) კვანტალიანი

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსუდან ლანდია

რედაქტორები:
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ინგა ლუტიძე
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქცია და დიზაინი
ირაკლი ავალიანისა

მხატვარი
გია ლაშხი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
კახა გაბუნია,
თორნიკე გოგოლაშვილი,
ლილი გოქსაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე.

დირექტორი
კონსტანტინე კაკიტაძე

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
ვ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

E-mail. burji@posta.ge

უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია.

ილია

დედა-ენის უარყოფას სწავლა-აღზრდაში მოსდევს დიდი დაქვეითება ადამიანისა ყოველ მხრივ.

იაკობი

ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№1-3 (87)

2005

შინაარსი

სახელმძღვანელო ენა

გ. გოგოლაშვილი, ბედი ქართული ენისა მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან 2

ო.იოსელიანი, ქუდზე კაცი! 7

თვალსაზრისი

ვივიან ლო, როგორ გავხდეთ ლინგვისტიკის ისტორიკოსი 10

ნ. კოტინოვი, „ვეფხისტყაოსნის" ენის ძირითადი თავისებურებანი 14

ვ. თავართქილაძე, „ვეფხისტყაოსნისა" და „პერსეველის" მხატვრული პარალელები 17

გრიგოლ ორბელიანი – 200

ნ. მესხია, წარსულის აღქმა გ. ორბელიანის შემოქმედებაში 19

მეცნიერის არქივიდან

გ. ჯავახიშვილი, რ. ჭიკაძე, წერილები ალექსანდრე გვენცაძის არქივიდან 22

ჩვენი ენა ქართული

ლ. კვანტალიანი, რაღაცატომ კი არა რატომღაც 30

თარიღები

ჯ. კაშია, ქალბატონი იზა ჩანტლაძე – არა მარტო გულისხმიერი მეგობარი 31

სამეცნიერო ქრონიკა 32

ახალი წიგნები 8, 16. 20. 21. 29. 30

გარეკანის პირველ გვერდზე „დედაენა შველას ითხოვს" – პლაკატი ირაკლი ავალიანისა (გამოყენებულია არსენ ფოჩხუას „ქიდილი ოთხთა შემოქმედთა").

უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.

იაკობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გოგოლაშვილი

ბედი ქართული ენისა მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან

ყურადღებას ვთხოვ საქართველოს ხელისუფლებას

> ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება ენას.
>
> ანა კალანდაძე

თვალს თუ გავადევნებთ ქართული ენის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ ოდითგანვე ქართველი კაცი დედაენას აღმერთებდა, ყურადღებას არ იკლებდა, უვლიდა, პატრონობდა... კი, ჰქონია შეჭირვების პერიოდებიც ქართულ ენას, მაგრამ ღვთის ნებითა და მამულიშვილთა თავდადებით მძიმე ყოფა წარსულს ჩაჰბარებია... გვწამდა და გვწამს, რომ „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს".

დღეს კი რა ხდება?

ისევ ანა კალანდაძეს მოვიშველიებ: „ლამის ისევ „წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!" სალიტერატურო ენის ნორმები ყოველთვის ირღვეოდა, მაგრამ ეს ძალიან ხელშესახები გახდა ქვეყანაში უკანასკნელ ხანებში მომხდარი კატაკლიზმების შედეგად". ეს 1995 წელს ითქვა. ამის შემდეგ, ამ ათი წლის მანძილზე, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ვითარება საგრძნობლად გაუარესდა. ჩვენ შევეცდებით, ზოგადი სურათი დავხატოთ ქართულ ენაზე თავსჩენილი უბედურებისა.

* * *

1935 წელს შეიქმნა სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია, რომელმაც ოთხმოცდაათიან წლებამდე იარსება. კომისიის სათავეში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ედგა - პრესტიჟულობისათვის; იმისათვის, რომ მის გადაწყვეტილებებს კანონის ძალა ჰქონდა. ამ კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა. გამოიცა სოლიდური კრებული - „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები", ტ. I (1971 წ.) სამი ბიულეტენი ამავე სახელწოდებით (1985-1987 წლებში)... ოთხმოცდაათიან წლებში ამ კომისიის მუშაობა შეწყდა - ეს საბჭოთა სტრუქტურა იყო... არადა, ამგვარი რამ არ ყოფილა არცერთ საბჭოთა რესპუბლიკაში, არც სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. დედაენის ბედით დაინტერესებულმა მეცნიერებმა, მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა დედაენის მოვლა-პატრონობის ეს საშუალება გამოძებნეს და საქმედ აქციეს მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში. ჩვენ ეს დიდი ტრადიცია კომუნისტურ წყობას გადავაყოლეთ.

მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ბრძოლისა და ძალისხმევის შედეგად 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ქართული ენის მუდმივი (!) სახელმწიფო კომისია. ეს იყო ადრე არსებული კომისიის აღდგენა გაფართოებული უფლებებით. ვერ ვიტყვი, რომ ამ კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა. რამდენიმე ფორმალური სხდომა გაიმართა (ძირითადად სათოთხმეტაპრილოდ და წინასაარჩევნო პერიოდებში...) და დღეს ეს კომისია აღარ არსებობს...

ცხადია, მოსაგვარებელი პრობლემები არ გამქრალა. პირიქით - გამრავლდა კიდეც და ყოველდღიურად ვიმკით უკონტროლობის შედეგებს... ცუდად მომუშავე კომისიის ამუშავება, ამოქმედება იყო საჭირო და არა გაუქმება... ჩვენ სხვაგვარად მოვიქეცით...

ამგვარ ნაბიჯს არასასურველი შედეგები მოჰყვება...

• • •

1995 წლის მოწვევის პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი. არსებობდა სერიოზული დასაბუთება ამგვარი ქვეკომიტეტის არსებობის აუცილებლობისა. ჩვენ ასე გვესმის: პარლამენტში კომიტეტისა თუ ქვეკომიტეტის მიზანი საკანონმდებლო საქმიანობაა. ვერ ვიტყვი, რომ ქართული ენის ქვეკომიტეტმა რაიმე მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებისათვის არაა ცნობილი. მაგრამ არც ამ ქვეკომიტეტის არსებობა-არარსებობის მიზანშეწონილობის შესახებ ყოფილა მსჯელობა... 2004 წლიდან პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი აღარ არსებობს. რატომ? თუ ცუდად მუშაობდა, მისი უკეთ ამოქმედება იყო საჭირო, თუმცა ეს საკითხი არ დასმულა... უბრალოდ, აღარააო საჭირო...

• • •

ოთხმოცდაათიანი წლების შუა ხანებში საკმაოდ ფართო განხილვის საგანი იყო ენის სახელმწიფო პალატის საჭიროების საკითხი. პრესაში, ტელევიზიაში, ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომებზე მსჯელობდნენ ამ თემაზე და გადაწყდა: 1997 წლიდან შექმნილიყო ენის სახელმწიფო პალატა. პალატის მუშაობის ანგარიში რამდენჯერმე გამოქვეყნდა. ვერ ვიტყვი, რომ ისე მუშაობდა, როგორც წარმომედგინა მისი საქმიანობა, მაგრამ არაერთი სასიკეთო საქმე მაინც გაკეთდა. პალატას რომ ნორმალური საკანონმდებლო ბაზა ჰქონოდა, უკეთესი შედეგები გვექნებოდა. ბევრი იომა თავად პალატამ ენის კანონის შექმნისა და მიღებისათვის, მაგრამ არაფერი გამოვიდა... და 2004 წელს ენის სახელმწიფო პალატა განათლების სამინისტროს დაუქვემდებარეს. წერდა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე: ეს პალატა პრეზიდენტის ან პარლამენტის დაქვემდებარებაში უნდა იყოსო. არც მისი შეისმინეს და დაავიწროვდა პალატის ფუნქციები. ესეც არ აკმარეს: პალატის თავმჯდომარესთან, ბ-ნ ლ. ღვინჯილიასთან, ვერ ვითანამშრომლებთო და გადადგომა მოსთხოვეს. ლ. ღვინჯილია ნებით რომ არ წავიდა თანამდებობიდან, პალატა გააუქმეს! მსგავს ფაქტს მე მეორეს არ ვიცნობ! დაგვაიმედა ბატონმა მინისტრმა: ენის სახელმწიფო პალატის ნაცვლად სახელმწიფო ენის პალატას შევქმნით და მას ისტორიკოსი (!) ბ. ჯავახია უხელმძღვანელებსო. ეს არ არის სიტყვათა თამაში. განათლების სამინისტროში შეიქმნება სამსახური, რომელმაც სახელმწიფო ენის სწავლებას უნდა მიაქციოს ყურადღება არაქართველ მოსახლეობაში. ეს საჭირო საქმეა, მაგრამ სრულად განსხვავებულია იმისაგან, რასაც ენის პალატა ისახავდა მიზნად...

მოკლედ ენის სახელმწიფო პალატაც წარსულს ჩაბარდა 2004 წელს...

• • •

2004 წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემცირდა საათები ქართულ ენაში. როცა ამ საკითხით დავინტერესდით, გვითხრეს: საათები სხვა საგნებშიც შემცირდაო, თითქოს ეს შეღავათი ყოფილიყოს ქართულისათვის. ქართულ ენაში საათების შემცირება გვესახება ჩვენ მიუტევებელ შეცდომად იმ დროს, როცა საქვეყნოდ განგაშს ტეხს განათლების სამინისტრო, ჩვენი

> ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედის წერა მხოლოდ სწავლა-განათლებაზედ არის დამოკიდებული?
>
> ილია

მოსწავლეების ნახევარმა მეოთხე კლასში წერა-კითხვა არ იცისო... მიმოვიხედოთ ირგვლივ; მოვუსმინოთ რადიოსა თუ ტელევიზიას, წავიკითხოთ მომრავლებული ჟურნალ-გაზეთები და ისე შევაფასოთ სკოლებში ქართული ენის საათების შემცირების ფაქტი... გვავიწყდება ისიც, რომ ქართული ენა არ არის რიგითი საგანი, იგი საგანთსაგანია, სწავლების ენაა, სახელმწიფო ენაა და ამიტომაც მისი გათანაბრება სხვა საგნებთან სახელმწიფოებრივი დონის შეცდომაა.

23843
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

2004 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. სწავლების ენის საკითხი კანონპროექტის განხილვის პერიოდში სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა. შემოთავაზებული ვარიანტი მიუღებლად მიგვაჩნდა. თითქოს კანონშემოქმედები კომპრომისზე წავიდნენ და მე-4 მუხლმა კანონში ასეთი სახე მიიღო: „უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური. (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსები-

> უნდა შეგეძლოს შეიცვალო შეხედულებებს,
> თუ ვინმე დაგანახებს შენი შეხედულების
> მცდარობას...
> **მარკუს ავრელიუსი**

სა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან)". ფრჩხილების დანიშნულება ამ შემთხვევაში არ მესმის, მაგრამ ეს არ არის არსებითი. მივაქციოთ ყურადღება: ა) ქართულ უმაღლეს სასწავლებელში ინდივიდუალური სასწავლო კურსები შეიძლება წაკითხული იქნეს არაქართულ ენაზე; ბ) რაიმე სახის საერთაშორისო ხელშეკრულება თუ გაითვალისწინებს, სწავლება შეიძლება იყოს არაქართულ ენაზე და გ) თუ შეათანხმებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სწავლება შეიძლება იყოს არაქართულ ენაზე! ამ შემთხვევაში რაღას ნიშნავს „სწავლების ენა არის ქართული"?

* * *

2004 წელს პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონი ზოგადი განათლების შესახებ. სწავლების ენას მე-4 მუხლი შეეხება:

„1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზური.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მშობლიური ენა არ არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა (ე.ი. ქართული ან აფხაზური - გ. გ.), სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანოს მოსწავლის მშობლიური ენის, ან მშობლიურ ენაზე სწავლების პროგრამა არსებული დაფინანსებისა და ეროვნული სასწავლო გეგმების ფარგლებში".

რბილად რომ ვთქვათ, მეორე პუნქტი უცნაურია. ქართულ სკოლაში თუნდაც ერთმა არაქართველმა შეიძლება მოითხოვოს თავისი მშობლიური ენის შესწავლა, ან თავის მშობლიურ ენაზე სწავლება „არსებული დაფინანსებისა და ეროვნული სასწავლო გეგმების ფარგლებში"... მეორე პუნქტის ასეთი სახით წარმოდგენა მით უფრო გაუგებარი იქნება, თუ გავითვალისწინებთ მესამე პუნქტს: „საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეკომენდაციით სახელმწიფო უქმნის პირობებს ისეთი დაწყებითი, საბაზო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ან მისი სექტორის შესაქმნელად, სადაც სწავლება ხორციელდება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად..."

მოკლედ: მეორე პუნქტის საფუძველზე კონკრეტულ შემთხვევაში პირველი პუნქტი ძალას კარგავს - სწავლების ენა აღარ არის ქართული!...

* * *

საქართველოს რადიოში იყო გადაცემა „ენაი შემკული და კურთხეული", რომელიც 1992 წლიდან მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ქართული ენის სიწმინდის დაცვას, მისი ნორმების პოპულარიზაციას და, ზოგადად, ქართულ ენასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებას... ეს გადაცემა დაიხურა – მოძველდა; ენაზე საუბარი აღარააო საჭირო...

საქართველოს ტელევიზიაში იყო გადაცემები - „ენა დედაა ერისა" და „ჩვენი ენა ქართული". თუ რამდენად საჭირო და სასარგებლო გადაცემები იყო, ამაზე საუბარიც კი ზედმეტად მეჩვენება. ვეღარ დავაფინანსებთო და ორივე დაიხურა... რა სახის გადაცემებს აფინანსებენ და აჩვენებენ, ეს ყველამ ვიცით... უბრალოდ, ქართული ენაა ზედმეტი რადიო-ტელევიზიის მესვეურთათვის...

არადა, ტელევიზიითა თუ რადიოთი ნათქვამ სასიკეთო სიტყვას დედაენის შესახებ სხვა ძალა აქვს. სხვაგვარად წაადგება ერისა და ქვეყნისათვის საჭირო საქმეს. იციან ეს, ცხადია, რადიო-ტელევიზიისა (თუ ტელევიზიების) ხელმძღვანელებმა და... მაინც ისე კეთდება, როგორც არ უნდა კეთდებოდეს...

* * *

არსებობს „საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ". რამდენიმე პუნქტს შეგახსენებთ ამ კანონიდან:

„მუხლი 4.

2. რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე...

3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას...

4. ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი...

5. რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით".

თითქმის ყველაფერი გარკვევით და ნათლადაა თქმული. გავიდეთ დედაქალაქში და ვნახოთ, როგორ სრულდება კანონის მოთხოვნები... ვფიქრობთ, ამ თემაზე მსჯელობის გაგრძელებაც არ ღირს... დედაენის უფლებებს ვერც ამ ფრონტზე ვიცავთ, როგორც საჭიროა, ისე...

* * *

ჩვენს განათლებულ მკითხველთან ზედმეტად მეჩვენება საუბარი იმ თემაზე, რასაც მასმედიის ენის როლი ჰქვია სალიტერატურო ენის დაცვასა და მოვლა-პატრონობაში. ტელევიზიიდან, რადიოდან, პრესიდან წამოსული მცდარი ფორმები ითლად და ღრმად იკიდებს ფეხს საზოგადოებაში. არადა, ამ მხრივ საგანგაშო ვითარებაა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გრიგოლ ორბელიანი ჩვენი თანამედროვეა და დღევანდელ ვითარებაზე წერს:

„აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..
მათ უსწავლელთა.
ცრუ რუსთაველთა
სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში"...

არ არსებობს არანაირი მექანიზმი, არანაირი საშუალება, რომ წინ აღვუდგეთ ამ მოძალებას... ველოდით და იმედი გვქონდა პრესის კანონის.

> მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საჭირო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოისა.
>
> ზ. გამსახურდია

ვფიქრობდით, ის მოუვლიდა ამ საქმეს, მაგრამ... მიიღეს „კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ". სადაც მასმედიის ენაზე - ჟურნალისტის პასუხისმგებლობაზე სალიტერატურო ენის მიმართ ერთი სიტყვაც არაა თქმული...

კულტურულ ქვეყნებში ასე არ იქცევიან...

* * *

. ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი უცნაური (ჩვენი გაგებით უცნაური!...) ამბავი გახმიანდა: ინგლისის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი შეცდომით წერს ერთ სიტყვასო და ლამის იმპიჩმენტი მოუწყვეს. პრემიერის სკოლის მასწავლებელიც კი ნახეს, გამოჰკითხეს, რატომ უშვებს ამ შეცდომასო და ა.შ. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ეს ნამდვილად ღიმილისმომგვრელი ფაქტია... არადა ესაა სწორედ შეგნებული დამოკიდებულება ეროვნული ენისადმი...

ერთ-ერთ წინა პარლამენტში აწ განსვენებულმა თენგიზ ბუაჩიძემ კოლეგებს მოუწოდა, სწორი ქართულით ვისაუბროთ, ქვეყანა გვისმენსო და პარლამენტის დარბაზიდან შესძახეს - რა დროს ქართული ენააო (სხდომა ტელევიზიით გადაიცემოდა). ეს შეძახილი - რა დროს ქართული ენაა - დღესაც ისმის,. ზემომოყვანილი ფაქტები ამის დასტურია...

* * *

დაბოლოს:

2004 წლის 7 მარტს ტელეიმედის გადაცემაში „ნადიმი ჯანრი კაშიასთან“ ერთ-ერთი სტუმარი იყო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ბატონი გიორგი გაჩეჩილაძე. ბატონი ჯანრი კაშიას კითხვაზე - რა არის ერი - მან ასეთი პასუხი გასცა (ბოდიშს მოვიხდი, სიტყვასიტყვით თუ ვერ გადმოვცემ, აზრი კი ეს იყო):

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ - ეს პოეტური ფანტაზიაა. **ერის არსებითი ნიშანი არ არის ენა.** ირლანდიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მაგალითები მოიშველია ამ აზრის დასასა-

> მშობლიური ენა ის ცხოველმყოფელი წყაროა, რომელიც ჰკვებავს ერს, ზრდის და აცოცხლებს. მშობლიურ ენას მოწყვეტილი (როგორც ცალკეული პირი, ისე ერი!) ჭაობში მოშთობილი ანკელისავით იღუპება.
>
> ანა

ბუთებლად... კი, გადაცემის სხვა მონაწილემ არ გაიზიარა ეს აზრი, მაგრამ ბატონი გ. გაჩეჩილაძე მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას: **ერის არსებობისთვის ენას არა აქვსო მნიშვნელობა...**

ჯერ ერთი, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ - ეს რომ მხოლოდ ლამაზი პოეტური ფრაზა არ არის და ჭეშმარიტებაა, ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ისტორიიდან, არაერთ ერსა და ენას აუხდა ეს ჭეშმარიტება... მეორეც, თუ რეალობას გავითვალისწინებთ, ერისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება არაა უნივერსალური მოვლენა: ენა ჩვენი ეროვნულობის უმთავრესი ბურჯია...თუმცა ეს ვრცელი თემაა და ამჯერად აქ შევწყვეტ საუბარს... დავფიქრდეთ კი ამაზე...

და დავფიქრდეთ იმაზეც, რატომ დასვა ეს საკითხი ბატონმა გიორგი გაჩეჩილაძემ დღეს... ზემოჩამოთვლილ ფაქტებსა და ამ განცხადებას შორის ხომ არ არის პირდაპირი კავშირი?.. ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე.

* * *

საკმაოდ მძიმე სურათი დაიხატა... რაც მოგახსენეთ, ამ ფაქტების გვერდიგვერდ დალაგება, მერწმუნეთ, არ იყო იოლი ჩემთვის; შემზარავია სრული სურათის გააზრება. მე არც იმგვარად ვფიქრობ, ალექსანდრე ჭავჭავაძე რომ ამბობდა:

„მე ამას ვსტირი,
განაწირი, ვა, თუ ვესწრა ვერ,
თვარაღა ჟამი გულთ მაამი,
კვლავმცა იქნების!“..

„გულთმაამი ჟამი“ ჩვენ უნდა მოვიყვანოთ!..

უპირველესად უნდა აღდგეს ქართული ენის სახელმწიფო კომისია. საქართველოს პრეზიდენტი უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ კომისიას. კომისიის პრესტიჟულობისა და ძალისთვის ეს აუცილებელია. ამ კომისიამ უნდა განსაზღვროს და გაატაროს ქვეყნისათვის საჭირო და შესაფერისი ენობრივი პოლიტიკა.

უნდა შეიცვალოს (უფრო სწორად, შემუშავდეს) კომისიის დებულება: შეიქმნეს სამუშაო აპარატი და მიეცეს კომისიის საქმიანობას სერიოზული ხასიათი. ამ კომისიამ უნდა განსაზღვროს, რა პრობლემებია მოსაგვარებელი და როგორ; კიდევ რა სტრუქტურა თუ სამსახურია საჭირო დედაენის ინტერესთა დასაცავად...

და ეს საქმე არ უნდა გადაიდოს. ახლოვდება 14 აპრილი - ქართული ენის დღე. გავიხსენოთ ისიც, რომ ეს არ არის საზეიმო დღე. ეს ანგარიშგების დღეა - წლის მანძილზე რა გაკეთდა დედაენის სასიკეთოდ, ეს უნდა მოვახსენოთ ქვეყანას. დავიწყოთ 2004 წლის 14 აპრილიდან - შევქმნათ ქართული ენის სახელმწიფო კომისია და შემდგომ ყოველწლიურად ანგარიში ჩავაბაროთ საქართველოსა და ქართველ ხალხს, როგორ ვპატრონობთ ქართულ ენას!..

ვიმეორებ: ყოველი დაკარგული დღე მოსაგვარებელ პრობლემებს გაგვიმრავლებს... ყოველდღიურად შეიძლება იმდენი რამ წახდეს, წლები რომ დასჭირდება გამოსასწორებლად...

ჩვენ იმედით ველოდებით ქართული ენის ხვალინდელ დღეს!

თქვენ?..

„საქართველოს რესპუბლიკა“
10 მარტი. 2005 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთია იოსელიანი

ქუდზე კაცი!

პასუხად ბატონ გიორგი გოგოლაშვილს

2004 წლის 24 დეკემბერს გაზეთ „თბილისში“ გამოვაქვეყნე წერილი „დიახ, არ ვივარგებთ ჩვენ ასე დაშორიშორებული – ღია წერილი ბატონ ოთია იოსელიანს.“ პუბლიკაცია გადაიბეჭდა გაზეთებში: „ხალხი და ხელისუფლება“ (№6, 2005), „მწერლის გაზეთი“ (№3, 2005). წერილში იმავე პრობლემებზეა საუბარი, რაც ამ ჟურნალში დაბეჭდილ ჩვენს სტატიაშია წარმოდგენილი. ამიტომ „ღია წერილი“ აღარ გადმოვბეჭდე. ბატონი ოთიას საპასუხო წერილი გამოქვეყნდა „თბილისში“ 2005 წლის 9 თებერვალს და გადაიბეჭდა გაზეთებში: „ხალხი და ხელისუფლება“ (№7, 2005), „კვირის პალიტრა“ (№9, 2005), „მწერლის გაზეთი“ (№3, 2005). თემა იმდენად პრობლემურია, აქაც გადავწყვიტეთ დაბეჭდა.

დიახ, ბატონო გიორგი, მოხარული ვიქნებოდი თქვენი და ჩემი ძველისძველი მეგობრის, ბატონი ვახტანგ გოგოლაშვილის სტუმრობით. რად ღირდა სამფეხა ჯორკოებზე ჩამოსხდომა და ბუხრისპირა საუბარი, მაგრამ, როგორც ბრძანე: „თემაა ისეთი“, ქვეყნის კიდით კიდემდეა ხმა მისაწვდენი და თანაც, ისეთი საშური, ყოველი დაკარგული დღე წლებით არ ანაზღაურდება (სამწუხაროდ, აქაურობა ისეა დარბეულ-დაქცეული, წყვდიადში ვართ. აღარც გაზეთია ჩვენს ბარობაზე, აღარც ჟურნალი და წიგნი ხომ აღარაა და აღარაა. ძლივს გუშინწინ მომწვდა შენი ხმა).

მოგეხსენება, მთავრობა მთავრობაა, მაგრამ ჩვენ – ხალხიც (ენა ხალხისაა) არა ვართ სანდო: საუკეთესოს საუცხოოს ვეძახით... ილიას „ბედნიერი ერი“, დაგვავიწყდეს კი არა, მსხვილი ასოებით უნდა გვქონდეს დაბეჭდილი და ყოველ კედელ-ყურეში გაკრული.

ილია, აკაკი და საერთოდ, თერგდალეულები რომ არა, საკითხავია, ჩვენ, დღეს ქართულად ვილაპარაკებდით?! ჩვენ ხალხს სულ ჩიჩინი და შეგონება რომ არ „გადაუცხოვდეს“. მე რომ, აგერ, წინა საუკუნის სამოციან წლებში, თბილისში ჩამოვდიოდი, ოჯახებშიც კი რუსულად ჟღურტულებდნენ და პირს არ სწვავდათ. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, რომ ვამბობთ, ასე მოხდა. კოლექტივს გამოქცეული მოსახლეობა რომ ქალაქებს შეესია, ეგრეთ წოდებულმა „ურბანიზაციამ“, ამ მხრივ გვიშველა, არ იცოდა უცხო ენა და იძულებულნი იყვნენ სოფლელებსაც და ქალაქელებსაც ექართულათ...

> ეროვნულ ენას საიდანაც ქარი მუბერავს, იქიდან უნდა ჩამოვეფაროთ

ახლა ასეთი საუბრის დროც არაა, რაკი ყველამ ვიცით, რა ჭირზე უარესიც გვჭირს, მაგრამ, სახელდახელოდ, ის მინდა ვთქვა, რომ ენას „ზევიდანაც“ და „ქვევიდანაც“ ვარბევთ (ახალი უბედურება! ჯერ სამსახური სადაა და რაიმე რომც გამოჩნდეს, თურმე, თუ ინგლისური არ იცი, არავინ წაგიკარებს!

მე ის მოგახსენეთ, „ეროვნულ ენას საიდანაც ქარი მოუბერავს, იქიდან ჩამოვეფაროთ“-თქო, თქვენს უაღრესად საჭირბოროტო წერილში ამბობთ: იმდენი მხრიდან უბერავს, „შევძლებთ კი ყველა მხრიდან დაცვას დედაენისას? ვეყოფით კი?..“

დიახ, იმას ვამბობდი: ქარმა რომ მოუბეროს-თქო და როცა, ყოველდღე, ენის სიწმინდის დასაცავ კანონს ველოდით, ამ დროს, „ენის პალატის“ გაუქმება ქარის მობერვა კი არა, ქარიშხალის და ქარბორბალას ამოვარდნაა!

მოგეხსენებათ, ბატონო გიორგი, ილია ბრძანებდა: რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო, მაგრამ, შენი ენა არ იცოდეო, ეს კი არ უთქვამს! როცა შენი იცი, ამის მერე გინდა იცოდე – ესა თუ ის სიტყვა როგორაა სხვათა და სხვათა ენაზე. თუ შენ ენაზე არ იცი ვაშლი, მსხალი, ატამი, ჭანჭური თუ კორკიმელი, რა გინდა სხვის ენაზე რომ გაიგო? ხომ შეიძლება, ჭანჭური გეგონოს კორკიმელი და კორკიმელი – ჭანჭური? ენა ხომ აზროვნებაა. ენის მეოხებით ვაზროვნებთ ხოლ! ენა რამდენადაც ვიცით, იმდენად ვაზროვნებთ. კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდებისო. კოკა ორფუთიანიცაა, ფუთიანი ჩაფიც. კოკუნა – ნახევარფუთიანი (ბათმანი), დოქი – 4-5 – ლიტრიანი, ნიტრა – ლიტრიანი და ჭინჭილა – 2-3-ჭიქიანი.

ჭურჭელი, რა თქმა უნდა, სავსე უნდა იყოს, მაგრამ ჭურჭელსაც გააჩნია. საწყაო ხომ იმის შესაბამისი გჭირდება, რაც გაგაჩნია შიგ ჩასასხმელი. გადმოდგება ვინმე თვითმარქია, თვითკმაყოფილი და წამოიპეტელებს: ვიცი, ბატონო, ჩემი ენა ვიცი

აბა რა გგონიათო! კი მარა არ იცი ჭინჭილა კიდეც რომ აივსო, ჭინჭილაა და არა ნიტრა. ისე, როგორც ნიტრა არაა დოქი და დოქი - კოკუნა რომ არაფერი ვთქვათ ჩაფზე და კოკაზე. და აზროვნებაც იმდაგვარი აქვს რასაც მისი სიტყვის კონა სწვდება. როგორც იტყვიან - რა „ბაგაჟის“ პატრონიცაა. ენამ უნდა გახსნას ტვინის ის უჯრედები რომელიც, თურმე, მილიონობითა გვაქვს და შიგ უნდა ჩალაგდეს რომ დაგჭირდება (თუ აზროვნებ), წამოუსვამ ხელს და გადმოაბრძენთაბრძენებ. ენის ზღვაში ნაპირზე ჭყუმპალაობ, ბანაობ, დაცურავ თუ ფსკერამდე ყურყუმალაობ?..

ენას ნაპირი არ უჩანს - უკიდეგანოა. ჩვენ რომ ვიცით, ცოდნაა? და რაც ვიცით, თავანკარაა? ამ მხრივ ჩვენი სკოლებიც და ეგრეთ წოდებული „უნივერსიტეტებიც“ სცოდავენ და სცოდავენ!

„კოკასა შიგან რაცა დგას“-ო, რუსთველმა ბრძანა და არა ნიტრასა და ჭინჭილასა შიგანო... და კოკა უნდა იყოს ავსებული, მერე შეიძლება მიუდგა წყაროს მეორე კოკა (მეორე ენა). არადა ფსკერში რომ შენი რაღაც ჭყამპალობს და სხვისას სხვისი ენის წყაროს შეუდგამ და ერთმანეთში აურევ მით უმეტეს თუ მესამეს და მეოთხეს დაამატებ და რაღაც ამღვრეული დურდოთი აავსებ, რა გგონია რაიმედ გამოდგება? სხვათა და სხვათა კი არა შენიც თუ ანკარა და კამკამა არაა შენს სათქმელს ისე ნათლად და ბრძნულად „ჭიქაში“ ვერ გადმოღვრი მზეზე რომ გახედავ ფერი გაუგო და დააგემოვნო.

ჩვენ, ჯერ, ჩვენი ვიცით, როგორც ჯერ არს რომ სხვისას და სხვის „საუცხოოს“ ვეპოტინებით?

კი ბატონო, არა გვაქვს „პური არსობისა“ და ხელგაშვერილი დავმათხოვრობთ; არა გვაქვს ყველი და ხაჭაპურმა მოგვჭამა ჭირი; არა გვაქვს კვერცხი თურქეთიდან მოგვაქვს და ჩალმიანი წიწილები იჩეკებიან; არა გვაქვს ზეთი და რუსულ-ბერძნული ზეთით ვიზეთებით; არა გვაქვს ქაღალდი და ვერ ვბეჭდავთ წიგნს. არა გვაქვს ელექტრონი და ვყურყუტობთ ბნელში. არა გვაქვს თოფი და მტრის „ჩამოწერილი“ იარაღით შეიარაღებული ვებრძვით მტერს... არა გვაქვს არა გვაქვს არა გვაქვს მაგრამ ენის სამათხოვრო და შემოსატან-შემოსაზიდი რა გვჭირს თუ არა კი ბატონო! ამ დიდებულ ენაზე (ენა რომ არა ვერანაირი გენიალობა ვერ შეძლებდა!) ხელთუქმნელი „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა და ჩვენი დღევანდელი შეზღუდული აზროვნების „დასაფიქსირებლად“ (ეს „დაფიქსირება“ რაღა უბედურებაა) არ გვეყო?!

არ ვიცი მგონი ამ შენი წერილის პასუხიდან გადავუხვიე და „დაუკრეფავში გადაველი“, რაკი გამგონი და გამგები დაგიგულე...

მაგრამ, ახლა ამჯერად, მოკლედ, საგაზეთო წერილის შესატყვისად, პირდაპირ საქმეზე ვიყვიროთ. რომ იტყვიან: იდგე, არ დაჯდე და იჯდე, ადექი და გაეშურეო! ასე მისწრებაზეა დახანება არ ეგების რაკი „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი“, უღმერთოდ ვრჩებით, ბატონო გიორგი და ქუდზე კაცი ვიხმოთ: გიორგები ვახტანგები დავითები ქეთევანები თამარები ტარიელები ავთანდილები ფრიდონები ასმათები და ძმანნი და დანნი ქართველნი!

უნდა ვიხმოთ ქუდზე კაცი! ქვეყანა ხალხისაა ენა ხალხისაა ხალხის შექმნილია ხალხის აღზრდილი და ხალხის პირმშოა.

მთავრობა ნეტავ თავის სამთავრობო საქმეს ეწეოდეს თორემ, „ქუდზე კაცის“ ომს ვერ უსარდლებს. ქვეყანა თავზე გვენგრევა რა დროს ენააო. კი ბატონო, ესეც მართალია მაგრამ ქვეყანას ჯერ ენა აერთიანებს და მერე ამ ენაზე მოლაპარაკე ჯარი. კაცობრიობამ ისეთი ხალხებიც იცის თვითონ რომ დიდი ხანია აღარ არიან და ისეთი ენა და კულტურა დატოვეს ახლაც „ცოცხლობს“. ბევრი

ახალი წიგნები







დღესაც ცოცხალია და კაცმა არ იცის მისი არსებობა.

ბატონო გიორგი, წერ: „ბრიტანეთში არსებობს ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირი, რომელსაც სათავეში დედოფალი უდგას, მოადგილედ ერთ-ერთი ლორდი"-ო, - დიდებულია! ჩვენც ასე მოვიქცეთ. ქართულად მოლაპარაკეთა კავშირი შევკრათ და დედოფლად საქართველო დავუსვათ. მოადგილეებად (თუ გნებავთ, სარდლებად) ერისთავები - ენის ერისთავები ვიხმოთ. ათასეულებს ასისთავები დასჭირდებათ და ასეულებს ოცეულები და ათეულები. ჩვენ ვიყოთ „ის ჯარისკაცი მაინც, რომელიც ფრონტის წინა ხაზზე დადგება და ომახიანი შეძახილით გაამხნევებს ჯარს"... ისე, ბატონო გიორგი, მე რომ მკითხოთ, ომს ჯარისკაცები იგებენ და გენერლები იბრალებენ.

ჯერჯერობით კი, მალემსროლებად უნდა ვიქცეთ - მაცნეებად, რაკი ჩვენი ენის ციხესიმაგრე ალყაშია. მოგეხსენებათ, ჩვენ ისეთ მიუვალ ციხესიმაგრეებს ვაგებდით, შიგნიდან რომ არ გალებულიყო, გარედან ვინ რას დააკლებდა! ჩვენი განათლება და პრესა თუ მთლად არ აღებს, შიგნიდან მაინც უჩხიკინებს და კარებს ჭუჭრუტანებს უჩენს. სადარაჯო, საგანგაშო კოშკები უნდა ავანთოთ: გარეული და შინაური მტერი სამშობლოს ხელიდან გვაცლის!!! (სამშობლო და ენა რამ გაჰყო?).

ბრძოლა უანგარო გვექნება, ჩვენ ხომ სახალხო ლაშქარი ვიქნებით და არა დაქირავებული არმია, ხელფასისთვის რომ იბრძვის და არა სამშობლოსათვის.

ღმერთო, ჯვარი დასწერე ჩვენს ენას და იგივე „ჯვაროსნები" ვიქნეთ, ენის სიწმინდისათვის მებრძოლი ჯვაროსნები, მოლაშქრე-ჯარისკაცები და არა - მინისტრები (უხუცესები), რომ ჩაგვაკაბინეტონ, დაგვამანქანონ და სამ-სამი ათასები დაგვინიშნონ. საფიქრალია, ამიტომაც ხომ არ გააუქმეს „ენის პალატა", „დედაენის" - დედის მოვლა-პატრონობისთვის და სიყვარულისთვის რა თანამდებობებს და ჯამაგირებს ითხოვთო?! კაცმა რომ თქვას, ვერც გავამტყუნებთ!

ქუდზე კაცს სამშობლო ეძახდა, აბა, სამხედრო კომისარიატები კი არ იწვევდნენ, და სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იბრძოდნენ. ჩვენც იგივე თავგანწირული ბრძოლა გვმართებს, რომ ქაჯეთის ციხეში ტყვედქმნილი ნესტან-დარეჯანი ვიხსნათ.

არავითარი პოლიტიკური და ეკონომიკური, არანაირი პოზიცია და ოპოზიცია, არაფერი საჭოჭმანო და სამიეთმოეთიო - ქუდზე კაცი!.. კაცს - თავზე ქუდი და საულვაშეზე - ულვაში, გული რკინისა და „აბჯარი თუნდა ხისაო"...

და ბატონო გიორგი, უკეთ მოგეხსენებათ, აკაკი შანიძესა აქვს სვანური და მეგრული ენის ლექსიკონი და აი, იმ სიტყვის კონაში მაქვს ამოკითხული:

- ომი გიქნიათო, გივარგილ, ომი.
- ომი ვქენითო, დედფალ.
- წაგიგიათო ომი, გივარგილ,
- წავაგეთ ომი, დედფალ.
- მაშ, რა აზრი ჰქონდაო ბრძოლას, გივარგილ?!
- ბრძოლას ყოველთვისა აქვს აზრი, დედფალ!

ყველაფერი ქართული... ეს სულაც არ ნიშნავს სხვათა ენების უპატივცემლობას. პირიქით, იმდენად დიდი კრძალვა და პატივი, რომ არ მიითვისო, არ

„შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა!"
ან, „სულის სიმშვიდის" ნავსაყუდელი
ანა

იპარო სხვისი, როცა მადლობა ღმერთს, თავსაყრელად მოუცია საკუთარი!

თუ უხერხული არ იქნება, მეცა მაქვს ბავშვებისათვის დაწერილი ლექსი „დედაენა":

რა კაცი ხარ, ვინ ხარ, რა ხარ,
რა ჯილაგის, რა ბედენა,
დედის ნანამ თუ არ გზარდა,
დედამ არ გიდედაენა.
ერის შვილად რომ ივარგო,
არც სხვას ავნო, არცა ივნო,
ენა დედამ - დედაენამ
უნდა ამოგადგმევინოს.
სული დედაენის გედგას,
აზრი, სიბრძნე ენამ გამცნოს,
ღმერთმა ისე დაგიფაროს,
დედამ არ გიდედინაცვლოს.
რომც გიმუხთლონ, გიორგულონ,
სამშობლოდან განიდევნო,
ქუდი სხვისი...
ენა შენი
უნდა იდედ-დედაენო.
ბედი დაუნდობელია,
გაგწირავს და დაგაობლებს,
ენა კალთას დაგაფარებს,
დედაენა გისამშობლებს.
გიჭირს, გილხინს, თან გეხლება,
გიალერსებს, დაგივანებს,
ატირდება, დედა რომ
არ გეყოლება,
ენა დაგიდედინანებს.
„წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება",
დედაენით დაიწყო და
დედაენით დამთავრდება.

მინაწერი: ეს ჩვენი წერილები, იგივე საგანგაშო კოშკები, გარდა გაზეთ „თბილისისა", სხვა გაზეთ-ჟურნალებშიც ხომ არ უნდა „აანთონ", რომ ბრძოლისათვის ქუდზე კაცს ვუხმოთ?

ვივიან ლო

როგორ გავხდეთ ლინგვისტიკის ისტორიკოსი

თარგმნეს ლილი გოქსაძემ და ქეთი დოჭვირმა

ვივიან ლოს მონოგრაფიის („დასავლეთ ევროპის ლინგვისტური აზროვნების ისტორია – დასაბამიდან დღემდე“) მესამე თავი.

თვალსაზრისი

12.1. ისტორიკოსისათვის საჭირო თვისებების დანერგვა

ამ წიგნის დასაწყისში ყურადღება გავამახვილეთ ემპათიაზე, როგორც გონების ძირითად მიმართებაზე წარსული ეპოქის ტექსტებისადმი, რაც ტექსტის გასაგებად გვჭირდება. მივიჩნევთ რა ემპათიას ძირითად მიდგომად, რომელიც ახლა უკვე ჩვევად უნდა იყოს ქცეული, შეგვიძლია გადავიდეთ იმ თვისებების დანერგვაზე, რომლებიც საჭიროა ლინგვისტიკის ყველა ისტორიკოსისათვის.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეგვეძლოს ტექსტის აბსოლუტური სიზუსტით წაკითხვა. ადვილია? მხოლოდ სცადე. რამდენად ხშირად გადაგიშლია წიგნი რაიმე მოლოდინის გარეშე? იმის ცოდნა, რომ წინ გიდევს დეტექტივი, სამზარეულოს წიგნი, ლინგვისტური მონოგრაფია თუ სხვა, ნიშნავს, რომ გაქვს გაუცნობიერებელი მინიშნება შინაარსის შესახებ. ეს წინასწარი ცოდნა უდავოდ გავლენას ახდენს შენ მიერ ტექსტის წაკითხვაზე, საზღვრავს, თუ რას დაინახავ ტექსტში და გარკვეულ ორიენტაციას გაძლევს. სასურველია აქა-იქ შეჩერდე და ჰკითხო საკუთარ თავს: „საიდან ვიცი, რომ ეს ტექსტი სწორედ ის არის, რასაც ამბობენ? ფაქტობრივად რას ვხედავ მე?“ ეს შეგიძლია ბევრ საფეხურზე გააკეთო. მაგალითად, ჯერ შეგიძლია საათ-ნახევარი დახარჯო და დაკვირვებით გადახედო ტექსტის ფორმას. რა ფორმითაა მოცემული: წიგნის, ჟურნალის, ნაბეჭდის, ხელნაწერის თუ სხვა? როგორ არის აკინძული? როგორია მისი მოცულობა? რა ვიზუალური ხერხებია გამოყენებული: სხვადასხვა შრიფტი, ფერი, ასოების ზომა. შემდეგ გადადი ტექსტის სტრუქტურაზე. რა ერთეულებადაა დაყოფილი? როგორ არიან ისინი ორგანიზებული: იერარქიულად, ანბანურად, სწორხაზოვნად თუ სხვაგვარად? ამბობს ავტორი რაიმეს სტრუქტურის შესახებ? იგივე შეგიძლია გააკეთო დოქტრინასთან დაკავშირებით. რა არის ნაშრომის თემა? რა ცნებებია გამოყენებული და დასახელებული? როგორ ვითარდება ექსპოზიცია? ამის შემდეგ რას ემყარება შენი დასკვნა? ალბათ დაინახავ, რომ განუწყვეტლივ ადარებ ერთმანეთს ტექსტში დანახულსა და წინასწარ მიღებულ ცოდნას. რაც უფრო გაცნობიერებულად გააგრძელებ ამ პროცესს და გაიაზრებ, თუ რა შემთხვევაში აფუძნებ შენს დასკვნას დაკვირვებაზე და როდის შემოგყავს წინასწარი ცოდნა ან იყენებ ორივეს ერთად, უფრო საფუძვლიანი იქნება შენი ნააზრევი.

დაკვირვება ის უმთავრესი უნარია, რომელიც ისტორიკოსმა საკუთარ თავში უნდა განივითაროს (და, მერწმუნე, ეს არ მოდის დიდი პრაქტიკის გარეშე). მეორე უმნიშვნელოვანესი თვისებაა მგრძნობელობა მეტამორფოზის, ანუ დროში ცვლილების პროცესის მიმართ. ვიცით, რომ ჩვენ გარშემო მუდმივად იცვლება რაღაც თუმცა ამას ძი-

რითადად ვერ ვამჩნევთ. როგორც დანტე ამბობდა, ერთ დღეს მიხვდები, რომ მეზობლის ბიჭი გაზრდილა, თუმცა მისი ზრდის პროცესი არც კი შეგინიშნავს. ავიღოთ მაგალითად ბოლქვი, რომელიც ქოთანში ჩარგე: თვეების შემდეგ მწვანე ყლორტი გამოჩნდება, ცოტა ხნის შემდეგ – ფოთოლი, ბოლოს კი ყვავილი. ცვლილების პროცესს ვერ ხედავ, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ ყოველი შემდგომი პროცესი წინას ემყარება. იმის უნარი, რომ თანმიმდევრულად დააკავშირო ისინი ერთმანეთს, რათა დაადგინო დროით-შედეგობრივი კავშირი – მოკლედ რომ ვთქვათ, იმის უნარი, რომ დაკვირვება და მეხსიერება აზროვნებას დაუკავშირო, საშუალებას გაძლევს ილაპარაკო დროით პროცესებზე. სცადე აიღო რაიმე სერიის დასაწყისიდან, როგორიცაა დონატეს „არს მინორ" და არიმე სერიის დასასრულიდან, როგორიცაა სკოლის გრამატიკა. დააკვირდი, რა შეიცვალა დონატეს ეპოქიდან, რომ შესაძლებელი გამხდარიყო დღევანდელი გრამატიკის არსებობა. თუ ამ სავარჯიშოს დროდადრო გააკეთებ, თანდათანობით გამოიმუშავებ მგრძნობელობას ნამდვილად მნიშვნელოვანი ცვლილებების, ასევე შენი დამოკიდებულებისა და გარეგანი ვითარების მიმართ, რაც იმ სპეციფიკური ცვლილებების წინაპირობაა, რასაც აკვირდები.

მესამე უმნიშვნელოვანესი თვისება ლინგვისტიკის ისტორიკოსისა არის „რაიმე სიახლის შეგრძნება". აიღე რაიმე ახალი იდეა – უკანასკნელი თეორია ფონოლოგიიდან ან, ვთქვათ, სინტაქსიდან, ტიპოლოგიიდან ან ისტორიული ლინგვისტიკიდან და სცადე აზრობრივი ექსპერიმენტი. ჰკითხე საკუთარ თავს, როგორ გახდა ეს აზრი შესაძლებელი, რამ გახადა ეს საკითხი აქტუალური სწორედ დღეს და არა 10 წლის წინ ან 10 წლის შემდეგ ან საუკუნის წინ? აღმოაჩენ, რომ სულ უფრო და უფრო აფართოვებ იდეების ქსელს და აყალიბებ ახალ აზრს ძველის საფუძველზე.

12. 2. ეთიკა და ლინგვისტიკის ისტორიკოსი:

შენი ნაშრომის გავლენა მხოლოდ ცოტა ხნის წინ გააცნობიერეს ლინგვისტებმა, რომ მათი ნაშრომები გავლენას ახდენენ სხვებზე და მათ სრული პასუხისმგებლობით უნდა იფიქრონ, თუ რატომ და როგორ ირჩევენ თემებს თავიანთი კვლევისათვის.

თუმცა სოციოლინგვისტებმა პირველებმა გაამახვილეს ყურადღება თავიანთი გამოკვლევების ეთიკურ მნიშვნელობაზე, მათ არც ფსიქოლოგები, ენის შესწავლის მკვლევრები და სხვები ჩამორჩნენ. რა თქმა უნდა, როდესაც შენი მოქმედებები იწვევენ ცვლილებებს ათასობით ადამიანის განათლებაში, ან სამართლის კანონების შექმნაში, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ეთიკური ასპექტი აშკარაა.

მსოფლიოს მთელი მოსახლეობისათვის ისტორია მათი იდენტობის ცოცხალი ნაწილია. ინგლისელებს ცოტა უჭირთ ამის გაგება, რადგან მათთვის მეცნიერული და ტექნოლოგიური მოვლენები უფრო ცენტრალურია, ხოლო ადამიანური მოქმედებები და დამოკიდებულებები ნაკლებად მნიშვნელოვანი, ხელოვნური, სუბიექტური. თუ შენ, როგორც ისტორიკოსი, ამბობ, რომ ვინმე სხვა ქვეყნიდან, არა აქვს მნიშვნელობა, გრამატიკოსი თუ ლექსიკოგრაფი, უცხოური იდეების ზეგავლენას განიცდის, ნახავ, რომ გაანაწყენე იმ ქვეყნის მკითხველები. ალბათ იტყვი, რომ მათ სიმართლე უნდა სცოდნოდათ. იქნებ ასეც არის, მაგრამ, თუ ისინი ამისთვის მზად არ არიან, რა ფასი აქვს ასეთ სიმართლეს? შენ უნდა დაარწმუნო მკითხველები თავიანთი და მეზობელი ქვეყნების ისტორიები შეისწავლონ შორიდან. მაშინ იმუშავებ კონსტრუქციულად, მაგრამ ეს რთული ამოცანაა.

საშიშროებანი ეროვნულ და ეთნიკურ ისტორიოგრაფიაში თანდათან სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება. დიდია განსხვავება, მაგალითად, იმაში, თუ როგორაა წარმოდგენილი II მსოფლიო ომი გერმანიის, იაპონიის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, რუსეთის სასკოლო წიგნებში; ან ბრიტანელი და ინდოელი ისტორიკოსების შეხედულებებში ამ ქვეყნის დაპყრობასთან დაკავშირებით; ან შუა აღმოსავლეთში მემარჯვენე და მემარცხენე ებრაელებისა და პალესტინელების ისტორიებს შორის. ადამიანთა აღზრდა ისტორიის ერთ ვერსიაზე აყალიბებს მათ თვალთახედვას, მოვლენების აღქმის უნარს და იმას, თუ როგორ შეიცნობენ ისინი საკუთარ თავს.

სხვა ადამიანებს და როგორ ექცევიან მათ. რამდენადაც ადამიანების სულ უფრო მზარდი რაოდენობა სწავლობს ლინგვისტიკასა და მის ისტორიას, ეს საკითხები ჩვენთვისაც გასათვალისწინებელი ხდება. განვიხილოთ რამდენიმე ბევრი არსებული კითხვიდან:

1. როგორ აპირებ აღწერო არაევროპული ლინგვისტური ტრადიციები? აპირებ თუ არა მიაწოდო მკითხველს ცნობები მათი ხანგრძლივი განვითარებისა და მიღწევის შესახებ? თუ ასეა, გაქვს თუ არა ის ცოდნა, რომელიც ამის საშუალებას მოგცემს? თუ არა, იქნებ სჯობდეს ეს ექსპერტმა გააკეთოს?

2. როგორ მოექცევი ისეთ საკითხებს, როგორიცაა „ლინგვისტიკის როლი ტოტალიტარული რეჟიმის დროს?" ენის დაგეგმვა და საგანმანათლებლო პოლიტიკა ის სფეროა, რომლებიც 150 წლის მანძილზე სულ უფრო აქტიურად ჩაებნენ ლინგვისტიკაში და მათი ნაშრომები ზოგჯერ წინააღმდეგობრივია. მეორე მხრივ, ლინგვისტებს, რომლებიც საზარელი რეჟიმის დროს ცხოვრობენ, შეუძლიათ დაანახონ თავიანთ თანამედროვეებს, თუ რა ხდება მათ ირგვლივ, ე.ი. თუ მათ ამის ძალა არ შესწევთ (გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ). შესწევთ თუ არა მათ, შინაგანად მაინც განუდგნენ ამ რეჟიმს? შეგიძლია დაეხმარო მკითხველებს, შეიცნონ ასეთი ეთიკური დილემები, დილემები, რომლებიც ერთ დღეს შეიძლება ჩვენ წინაშეც დადგეს?

3. გაქვს თუ არა უფლება, განიხილო თანამედროვესწინა სიტუაციის განვითარება (და ზუსტად რას გულისხმობ სიტყვაში „თანამედროვე"?), მიიჩნიო ისინი უმნიშვნელოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად არასოდეს ჩაგიტარებია მათი კვლევა? სწორია თუ არა, გამოსცე რაიმე ლინგვისტიკის ისტორიის დასაწყისზე, როდესაც ფაქტობრივად ცოტა გაქვს სათქმელი თანამედროვესწინა სიტუაციის განვითარებაზე და ეს ცოტაც მეორადი წყაროებიდანაა აღებული?

12.3. ეთიკა შენს სამუშაო მეთოდებში

კვლევის პროცესში საკითხები ლინგვისტიკის ისტორიკოსისათვის ჩნდება თემის არჩევანსა და ამასთან ერთად კვლევის პროცესის წარმართვაში. თავდაპირველად თემის არჩევანი:

1. რატომ ვირჩევ ამ თემას საკვლევად?

თუ შენი პასუხია „იმიტომ, რომ მოხოვეს", კიდევ იფიქრე. შედეგები ორი დონისაა: პირადად შენთვის და შენი მკითხველისათვის, ყველაფერს, რასაც სამყაროში დებ, შედეგები აქვს. დასაგმობი წიგნის კრიტიკულ განხილვას, მაშინაც კი, თუ ის სრულყოფილადაა დასაბუთებული, შეუძლია პიროვნებას კარიერა დაუნგრიოს ან იყოს უკანასკნელი წვეთი, რომელიც მიიყვანს კაცს დეპრესიამდე ან თვითმკვლელობამდე. ენციკლოპედიის ზედაპირული სტატია, რომლის დასაწერადაც არ ხარ მზად, მეტისმეტად დაგძაბავს, ისევე, როგორც ვერ გამოაჩენს რაიმე ახალ ხედვას და სერიოზულ შეცდომაში შეიყვანს შენს მკითხველებს.

ჩვენი კარიერის დასაწყისში ჩვენი უმრავლესობა მზადაა ჩაეჭიდოს ნებისმიერ თემას, რომელიც ხელმისაწვდომია, ე.ი. ჯერ არ არის გამოკვლეული სხვის მიერ. მაგრამ დიდი დრო არ არის საჭირო, რომ განასხვაო ნამდვილად ღირებული პროექტი, რომელიც ავითარებს ადამიანის ევოლუციაზე ჩვენს წარმოდგენას, უმნიშვნელო პროექტისაგან. ვთქვათ, გადაწყვიტე ენასთან დაკავშირებულ რომელიმე პრობლემას, რმელსაც ახლახან წააწყდი, ნაშრომი მიუძღვნა და დეტალურად დაგეგმე მისი შინაარსი და სტრუქტურა. ძალიან კარგი, ეს არის დაკვირვების საფეხური. ჩვენ ყველამ ამით უნდა დავიწყოთ. მაგრამ თუ ამ საფეხურზე უფრო მეტს არ გააკეთებ და არ იფიქრებ, თუ რატომ უნდა იყოს ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი, მაშინ აუდიტორიას ყველანაირი უფლება აქვს, დაინტერესდეს, თუ რატომ ახვევ თავს უინტერესო მასალას. შემდეგ საკუთარ თავსაც დაუსვამ ამ შეკითხვას. მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანს შეუძლია ათწლეულების განმავლობაში შეუპოვრად იშრომოს საკითხზე, რომელსაც მცირე მნიშვნელობა ჰქონდა მის ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდობაშიც კი.

2. რაში მდგომარეობს ამ თემის უფრო ფართო მნიშვნელობა?

არის თუ არა ღრმა აზრი მის ვიწრო ჩარჩოებს მიღმა? თითქმის ყველა პრობლემას აქვს სიღრმე (და თუ შენსას არა აქვს, მაშინ რატომ მუშაობ

ამ საკითხზე?), რა არის ეს ღრმა აზრები? თუ შენ მათ აქა-იქ მაინც წარმოაჩენ, კიდეც გამოაღვიძებ მკითხველებს და დააფიქრებ მათ. შეგიძლია მათ შთააგონო კიდეც, გააგრძელონ და პატარა გამოკვლევა თავადაც ჩაატარონ.

3. შემიძლია დავწერო ამ თემაზე იმგვარად, რომ დავეხმარო ადამიანებს, გაიგონ რაიმე აზროვნების დონეზე ადამიანთა ევოლუციის მნიშვნელობის შესახებ, გავაღვიძო მათში ენთუზიაზმი, ხელი შეუწყონ ამ ევოლუციას დადებითად?

4. შემიძლია ვწერო იმგვარად, რომ შთავაგონო სხვები? შემიძლია მივანიშნო სხვებს, რაზე უნდა გადავიდეთ და ენთუზიაზმით ავავსო ისინი, რომ იმუშაონ ამაზე თავიანთ სფეროებში?

ამის ალტერნატიული ვარიანტია, თქვა საბოლოო სიტყვა.

5. რა გრძნობებს გამოიწვევს ჩემს მკითხველებში?

ეს ის გრძნობებია, რომლებიც დამხმარე და კონსტრუქციულ როლს ასრულებენ. თუ უფრო დამანგრეველ მოქმედებამდე მივყავართ? თუ მეორეა, შემიძლია ვიპოვო გზა, რომ ჩემი ნაშრომი დაეხმაროს ადამიანებს ამ საკითხზე უფრო კონსტრუქციულად იფიქრონ? თუ არა, მაქვს კი უფლება, ვწერო ამის შესახებ? რით არის მოტივირებული ჩემი ქმედება?

6. შეამოწმე თუ არა, რომ შენ მიერ არჩეულ თემაზე სხვა არავინ მუშაობს?

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ეს ისეთი სახის პროექტია, რომლისთვისაც ორმაგ მცდელობას აზრი არა აქვს.

7. გაქვს თუ არა უშუალო ცოდნა განვითარების იმ წყაროებზე, რომლებზეც წერ?

თუ არა, საიდან იცი, რომ ის მეორადი წყაროები, რომლებსაც ეყრდნობი, არ წარმოადგენენ დამახინჯებულ მეორად წყაროებს? ყველა ჩვენგანმა გამოცდილებით ვიცით, თუ x სახელმძღვანელოს ავტორმა როგორ გადმოიტანა შეცდომა y სახელმძღვანელოს ავტორისაგან. გინდა გადაიწერო სხვისი შეცდომები?

8. გაითვალისწინე თუ არა სხვა სწავლულების ნაშრომები და აღიარე მათი დამსახურება?

წინასიტყვაობა და შენიშვნები ამისთვის შესაფერისი ადგილია. ისინი, ვინც დაგეხმარნენ სტატისტიკისა და ბიბლიოგრაფიის შედგენაში, ისევე არიან აღნიშვნის ღირსნი, როგორც ის სწავლულები, რომლებთანაც მასტიმულირებელი საუბრები გქონდა. რა თქმა უნდა, თუ დიდ დროს ატარებდი ბიბლიოთეკებში, განსაკუთრებით სპეციალურ საცავებში, პერსონალი დააფასებს მადლობას. ერთმა ბიბლიოთეკარმა ერთხელ მითხრა, რომ, როდესაც ნაცნობი ავტორის წიგნი მოვიდოდა, პერსონალი მაშინვე მადლობის სიაში იხედებოდა, რომ ენახათ, იყო თუ არა მათი დახმარება ნახსენები. შენ ალბათ მოგაფიქრდება სხვა ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშვნის ღირსნი არიან.

9. ამტკიცებს თუ არა შენი მონაცემები იმ ამბავს, რომლის გადმოცემასაც აპირებ? თუ უნდა შეკუმშო და დაამახინჯო ის, რათა შესაფერისი გახადო იგი, ეს ამბავი სწორი არ იქნება. და, თუკი აღმოაჩენ, რომ ერთი შემთხვევის განზოგადებას ახდენ, კიდევ იფიქრე. არცერთი ეპოქა არ არის სრულიად ერთგვაროვანი და წარსულში ყოველთვის იპოვი იმის ანარეკლს, რაც მომავალში უნდა მოხდეს.

10. არის თუ არა შენი ნაშრომი ნამდვილად მზად გამოსაცემად?

მიხვდები, არის თუ არა. მანამდე გექნება შეგრძნება, რომ ის მთლიანად მზად არ არის, ახალი ხედვა გამოჩნდება ან რაიმე ახალი წიგნი ან სტატია შეცვლის შენს შეხედულებას. ენდე ამ გრძნობას! სწავლულთა უმრავლესობას აქვს შენახული ბოლო უჯრაში ნაშრომები, რომლებსაც მომწიფება სჭირდებათ.

ამრიგად, შენ, როგორც ლინგვისტიკის ისტორიკოსს, გაქვს პასუხისმგებლობა წარსულის იმ მასალაზე, რომელზეც მუშაობ და იმ ხალხის წინაშე, ვის ცხოვრებაზეც შენი ნაწერი მცირე ზეგავლენას მაინც მოახდენს. რა თქმა უნდა, წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს თავისი მოქმედების შედეგებს, მაგრამ სულ მცირე, შეგვიძლია ვცადოთ მაინც. რამდენადაც მეტი გეცოდინება იმის შესახებ, რასაც აკეთებ და მისი მოსალოდნელი და რეალური გავლენის შესახებ სამყაროზე, მით უფრო პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე და შორსმჭვრეტელი გახდები როგორც ისტორიკოსი და როგორც ჩვეულებრივი ადამიანი.

ნორა კოტინოვი

„ვეფხისტყაოსნის“ ენის ძირითადი თავისებურებანი

III. სინტაქსური კონსტრუქციები

„ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურ თავისებურებათა განხილვამ გვიჩვენა, რომ მასში საკმაოდ მდგრადია როგორც სახელთა ბრუნების, ისე ზმნის უღლების სისტემები. თუმცა არსებითი ხასიათის გარდატეხა უკვე მომხდარია, მაგრამ ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ბევრი თავისებურება ჯერ კიდევ ძალაშია. ამგვარი ვითარება იმით აიხსნება, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ენა ასახავს საშუალი ქართულის ჩამოყალიბების მხოლოდ საწყის ეტაპს. ამ ეტაპისთვის კი ნიშანდობლივია ძველი და ახალი ენობრივი მოვლენების სინქრონიული თანაარსებობა.

რაც შეეხება სინტაქსს, აქ ვითარება სხვაგარია. რამდენადაც სინტაქსი ერთი სიტყვის ფარგლებს სცილდება და სინტაგმაში ან წინადადების მთლიან სტრუქტურაში ფუნქციონირებს, აქ მეტი შესაძლებლობა არსებობს სტრუქტურული ცვლილებებისა და ცოცხალი მეტყველების ზემოქმედებისთვის. ასეღაც მოხდა. XII საუკუნის სალიტერატურო ქართულში და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ენაში სინტაქსურ ცვლილებებს მეტი გასაქანი მიეცა. განვიხილავთ ოთხ სინტაქსურ კონსტრუქციას. ესენია:

1. ნაწევრიან სახელთა პარადიგმატული კონსტრუქცია;
2. მსაზღვრელ-საზღვრულის პარადიგმატული კონსტრუქცია;
3. -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქცია;
4. ინფინიტიური კონსტრუქცია.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1. ნანევარიან სახელთა პარდიგმატული კონსტრუქცია

ძველ ქართულში ჩვენ გვქონდა განუსაზღვრელობითი ნაწევრები **ერთი** და **ვინმე**; განსაზღვრული ნაწევრები: **ესე**, **ეგე** და **იგი**. როგორც ერთი, ისე მეორე რიგის ნაწევრები ქმნიდნენ პრეპოზიციურ წყობას საზღვრულ სახელთან და ჰქონდათ არტიკლის ფუნქცია. XII საუკუნის ძეგლებში განუსაზღვრელობითი ნაწევრები აღარ იხმარება. განსაზღვრული ნაწევრები კი პრეპოზიციაში ინაცვლებენ და ამასთან დაკავშირებით კარგავენ არტიკლის ფუნქციას, რითაც ფუნქციურად უახლოვდებიან ჩვენებით ნაცვალსახელებს, ამიტომაც მათ ნაწევრებს ვეღარ ვუწოდებთ. ისინი ნაწევარ-ნაცვალსახელები არიან. სამ ნაწევარ-ნაცვალსახელს ემატება დასავლური დიალექტებიდან მომდინარე ისი ნაწევარ-ნაცვალსახელიც, რომელიც თავისი ბრუნების პარადიგმებით ესე, ეგე, იგი ნაწევარ-ნაცვალსახელებს ემსგავსება.

აღნიშნულ ოთხ ნაწევარ-ნაცვალსახელს მხოლოდ ხუთი ბრუნვა აქვს: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი. როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში მათ ახასიათებთ ორფუძიანი ბრუნება. ერთი სახელობითისათვის და მეორე – დანარჩენი ბრუნვებისათვის. ამასთან, ნაწევარ-ნაცვალსახელს ჩამოცილებული აქვს ბრუნვის ნიშნები და ფუძის სახით გაჰყვება საზღვრულს. გამონაკლისს წარმოადგენს იგი, რომელიც მხოლობით და მრავლობით რიცხვში სრულად ინარჩუნებს დაბოლოებებს.

პარადიგმების სქემა ასეთია:

მაგალითები: მოგვყავს „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წლის გამოცემიდან

მხ. რ.				
სახ.	იგი კაცი	ესე კაცი	ეგე კაცი	ისი კაცი
მოთხ.	მან კაცმან	ამა კაცმან	მაგა კაცმა	იმა კაცმა
მიც.	მას კაცსა	ამა კაცსა	მაგა კაცსა	იმა კაცსა
ნათ.	მის კაცისა	ამა კაცისა	მაგა კაცისა	იმა კაცისა
მოქმ.	მით კაცითა	ამა კაცითა	მაგა კაცითა	იმა კაცითა
მრ. რ.				
სახ.	იგი კაცნი	ესე კაცნი	მაგა კაცითა	ისი კაცნი
დანარჩენი ბრუნვები	მათ კაცთა	ამა კაცთა	მაგა კაცთა	იმა კაცთა

„ესე სიტყვა დაასრულა, ყმა ატირდა. სულთქვნა აჰყო" (526,4)

„მან კაცმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები" (264. 2)

„ამა დღემან დამავიწყა. გული ჩემი ვინ დაბინდა" (292, 1)

„მის მონისა არა ესმა სიტყვა. არცა ნაუბარი" (87. 1)

„მის ჟამისა მხსენებელი მე სულდგმული არ გიკვირ-ა?" (338,4)

„რომე ცუდად არ მოლორდე, ისი კაცნი გლალატობენ" (432, 1)

„მათ თურქთა მიღმა გამეგო მე არას არ შეწამება" (292, 3).

2. მსაზღვრელ-საზღვრულის პარადიგმატული კონსტრუქცია

მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებისას „ვეფხისტყაოსნის" ენა მნიშვნელოვან თავისებურებებს არ გვიჩვენებს. თუ ძველ ქართულში დომინირებდა პოსტპოზიციური წყობა, აქ პრეპოზიცია და პოსტპოზიცია თანაბარია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმება ისეთივე სრულია, როგორც ძველ ქართულში. „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება ყველა ტიპის მსაზღვრელი, როგორც ატრიბუტული, ისე არაატრიბუტულიც, მაგრამ ბრუნვაში შეთანხმება ყველა შემთხვევაში მკაცრადაა დაცული ორივე წყობისას.

მაგალითები:

„ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, აწ ესე მე მითქს რომელი" (592, 1)

„კვლაცა გიხმობ: „ვისცა ღმერთი სარის მორჩსა ტანად უხებს" (631, 1)

„მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომკლიდა ცხრო და თრთოლვა" (583. 1)

„აწ გიამბობ, რადგან თავი გიხდა ჩემად ამხანაგად" (629. 4)

„მისთა სპათა მუხლმოყრილთა თავი მათი ჩემ კრძ ირეს" (643, 2)

„ნულარ უჭვრეტთ ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთა მონადენთა" (649. 2)

„შენმან ჭვრეტა-სიახლემან მომაქარვოს, სევდა მითხოს" (664. 4)

„მას ღამესა ერთგან იყვნეს შვენიერნი ამხანაგნი" (665. 4)

„ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა" (704, 3).

3. -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქცია

„ვეფხისტყაოსნის" ენაში ეს კონსტრუქცია საკმაოდ მდგრადია. -მცა ნაწილაკი ჩვეულებრივ თხრობითი კილოს ფორმებთან გვხვდება და კონიუნქტიურ ფუნქციას ასრულებს. ძველი ქართულის მსგავსად ავტორი ცდილობს მკაცრად დაიცვას ეს წესი. თუმცა იშვიათად გვხვდება დარღვევაც. კერძოდ, დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა -მცა ნაწილაკის ფუნქცია გაურკვეველია:

„მივსწერე: „მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებ ძლიერი" (385. 2)

ასეთ შემთხვევები სპორადულად გვხვდება. ძირითადად კი კონსტრუქცია არქაულ ვითარებას ინარჩუნებს.

მაგალითები:

„ღმერთმან მისგან ათებული სანთელიმცა რად დაგავსო" (597, 4)

„ჰგვანდეს, შუიდთავე მნათობთა სხვადმცა რისად ვთქვი მე და რად (278,4)

„გამიკვირდა მიჯნურისა თაყვანება ექმნა ვისცა" (378, 4)

„ვეცრუვო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა" (411, 4)

„ამის მეტსა ნუმცა ვნახავ კვლავცა წიგნსა შენმიერსა" (399.4)

„არამცა მოგკლეს ღალატად, არამცა ვავაგლახეთ" (538. 4).

4. ინფინიტიური კონსტრუქცია

ძველ ქართულში დასმული მასდარი პირმიმართ დამატებასთან ერთად

ინფინიტიურ კონსტრუქციას ქმნის და ამ მხრივ ევროპული ენების ვითარებას უტოლდება. ეს კონსტრუქცია მარტივ წინადადებაში ზმნა-შემასმენელს ახლავს და მისდამი დაქვემდებარებულ მოქმედებას გადმოსცემს, რითაც დამოკიდებული წინადადების ბადალია. X-XI საუკუნეების ძეგლებში მასდარი-ინფინიტივი თანდათან კარგავს ამ ფუნქციას, ხოლო „ვეფხისტყაოსნის" ენაში ეს კონსტრუქცია არსებითად მოშლილია. მთელ პოემაში შეგვხვდა მხოლოდ ერთი ფრაზა, სადაც არქაული ვითარებაა დაცული:

„მეფემან სპანი შეპყრობად შეუზახნა და წყრობოდა" (990, 1)

ჩვეულებრივ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტში ვითარებითში დასმული მასდარი ახლავს ზმნა-შემასმენელს პირმიმართი დამატების გარეშე და უმთავრესად მიზნის გარემოების ფუნქციას ასრულებს. მას შეიძლება ახლდეს აგრეთვე ნანათესაობითარ ვითარებითში დასმული უბრალო დამატებაც.

მაგალითები:

„გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად" (892,3)

„რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად ამისად" (882,1)

„მერმე ვიშიშვ, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად" (799, 1)

„საბრალოა ასმათ მისად, მგონებლად და მისად ჭვრეტად" (897, 2).

ხშირად ვითარებითში დასმულ მასდარს ენაცვლება ვითარებითში დასმული მომავლის მიმღეობა, რაც მომდევნო პერიოდში მკვიდრდება და თანამედროვე ქართულში ნორაქტ იქცევა:

„მაგრა გვედრებ დამარხვასა, მხეცთა საჭმლად არ მივიცე" (870, 4)

„მისთვის სძრიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწისფერთა" (890, 2)

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ჩვენ მიერ განხილული ოთხი სინტაქსური კონსტრუქციიდან მხოლოდ ორი ინარჩუნებს არქაულ ვითარებას: მსაზღვრელ-საზღვრულის პარადიგმატული კონსტრუქცია და -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქცია. დანარჩენი კონსტრუქციები არსებითად მოშლილია. ნაწევარიანი სახელების პოსტპოზიციური წყობა შეცვლილია პრეპოზიციურით, რაც მნიშვნელოვან ცვლილებებს განაპირობებს. აღარ გვხვდება განუსაზღვრელობითი ნაწევარები და არტიკლიც. როგორც ასეთი, აღარ ფუნქციონირებს, რამდენადაც იგი ჩვენებით ნაცვალსახელებს ემსგავსება. ნაწევარს ცვლის ნაწევარ-ნაცვალსახელი. ამასთან, სხვაგვარია მათი ბრუნების პარადიგმაც. კერძოდ, იგი ნაწევარ-ნაცვალსახელი ინარჩუნებს არქაულ პარადიგმას, ხოლო დანარჩენები ფუძის სახით გასდევენ საზღვრულ სახელს. მოშლილია აგრეთვე ინფინიტიური კონსტრუქციაც, რადგან უკვე აღარ გვაქვს ვითარებითში დასმული მასდარი პირმიმართ დამატებასთან ერთად. მის გვერდით კი გზას იკაფავს ახალქართული კონსტრუქცია – მომავლის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში, რომელსაც მიზნის გარემოების ფუნქცია გააჩნია.

ახალი გამოცემები





ვერიკო თავართქილაძე

„ვეფხისტყაოსნისა“ და „პერსევალის“ მხატვრული პარალელები

ქართული კულტურა და, განსაკუთრებით, ლიტერატურა, ოდითგანვე მჭიდრო კავშირში იყო საზღვარგარეთის კულტურასთან, როგორც დასავლურთან, ისე აღმოსავლურთან. ეს განაპირობა გარკვეულმა ისტორიულმა მოვლენებმა ქართული და ფრანგული სარაინდო რომანებიც ხასიათდება მსგავსი სიუჟეტური და მხატვრულ-იდეური პარალელებით.

23843

როგორც აკად. კ. კეკელიძე ამბობს, არ დარჩენილა ალბათ, არანაირი „-იზმი“, რომელიც რუსთაველისთვის არ მიეწეროთ. ჩვენს მიზანს არ შეადგენს რუსთაველის მსოფლმხედველობის განხილვა XII საუკუნის ფრანგულ მსოფლმხედველობასთან მიმართებაში, არამედ გვსურს სიუჟეტური და იდეურ-მხატვრული მსგავსებისა და პარალელების ჩვენება. რასაკვირველია, ქართული საგმირო რომანი არ ამოიწურება „ვეფხისტყაოსანში“, ისევე როგორც ფრანგული – „პერსივალით“, მაგრამ ისინი ამ ჟანრის ტიპური წარმომადგენლებია. მათ შორის მრავალი განსხვავების გარდა არსებობს პრინციპული მსგავსებებიც, რომლებზეც თავის დროზე მიუთითებდა ნ. მარი. ორივე ნაწარმოები XI-XII სს-შია დაწერილი და საგმირო-სარაინდო ჟანრს ეკუთვნის. რასაკვირველია, არ შეიძლება ლაპარაკი ამ ნაწარმოებების იდენტურობაზე, რადგან მათი ფორმა, შინაარსი და წარმომშობი ერების კულტურული ღირებულებები არაა იდენტური. რუსთაველმა ქართველების მიერ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსის ნიადაგზე დაწერა ღვთაებრივი სიყვარულისა და ჰარმონიის საგალობელი, კრეტიენ დე ტრუამ კი კურტუაზიული გემოვნების გათვალისწინებით შექმნა მაღალმხატვრული რომანი. მაგრამ უკვე აღნიშნულმა სოციალურ-პოლიტიკურმა პირობებმა ამ ნაწარმოებებში მსგავსი მხატვრული მოტივების განვითარება განაპირობა.

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ გმირთა სახეები და მათი იდეური დატვირთვა. საერო პერსონაჟის პირველი განსხვავება მდგომარეობს მის ფიზიკურ თვისებებში. ჰაგიოგრაფიაში გმირის გარეგნობა ხაზს უსვამს მის მაღალ დანიშნულებას, ეს თვისებები მას სხვებისაგან გამოარჩევს და ღვთის რჩეულად აქცევს. ამ იდეური დატვირთვის პირველ ცვლილებად შეიძლება ჩავთვალოთ „წმინდა რაინდების“ რომანები, სადაც გმირი ღვთიური ნების აღმასრულებელია, მაგრამ იქვე მხატვრული პერსონაჟის თვისებებს იღებს და მკითხველში ცნობისმოყვარეობის აღძვრისაკენაა მიმართული. აქ უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ „პერსონაჟზე“ ლიტერატურულ-მხატვრული გაგებით, რითაც „ქრისტიანული რომანი“ (ა. ნ. ვესელოვსკი) უპირისპირდება დანარჩენა აგიოგრაფიულ ლიტერატურას. თუმცა აკად. ა. ნ. ვესელოვსკი „ქრისტიანული რომანის“ ცნებაში აერთიანებს ზოგადად „წმინდანთა ცხოვრებებს“, მაგრამ მხატვრული ბელეტრისტიკის გაგებასთან „წმინდა რაინდთა“ თავგადასავლები უფრო ახლოა, ვიდრე, მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

ფრანგულ სარაინდო რომანში პერსონაჟის ფიზიკურ თვისებებს დიდი ყურადღება ექცევა. აქ ყველა რაინდი, ასაკის მიუხედავად, ლამაზი შესახედაობისაა. მაგალითად, პერსევალი იყო „ამაყი, კარგი აღნაგობის დაკუნთული ტანით, სასიამოვნო თეთრი სახით, კარგად მოხატული წარბებით“ (7, გვ. 30).

რუსთაველის გმირებიც შესანიშნავი გარეგნობით ხასიათდებიან. საამისო ამონარიდების მოხმობას სტატიაში აღარ შევეცდებით: ქართველი მკითხველისათვის ისეც ნათელია.

გმირისათვის დამახასიათებელია თავგადასავლების ძებნა და სატრფოს სახელით საქმეების ჩადენა. მაგალითად, ტარიელმა ხატაელები დაამარცხა და ეს გამარჯვება ნესტან-დარეჯანს მიუძღვნა. ხოლო პერსევალი თავისი სატრფოს, ბლოდიევენის დასაცავად და მტრისაგან გასათავისუფლებლად ორთაბრძოლაში ჩაება და გაიმარჯვა (7, გვ. 75-78).

სახელმწიფო
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს კიდევ ერთი მაკავშირებელი თვისებაა აგიოგრაფიულსა და საერო ლიტერატურას შორის – „წმინდა რაინდი“ თუ უბრალო წმინდანი, წამებული, საეკლესიო მოღვაწე ყოველ თავიანთ გმირობას თუ სასწაულს ღმერთს ან ღვთისმშობელს უძღვნიდნენ, ხოლო საგმირო რომანის რაინდები – სატრფოს. მაგრამ ეს ევოლუცია ბუნებრივად განიხილება ლიტერატურის ისტორიაში. ე. ჯაველიძე შედარებას ახდენს სუფისტურ ფილოსოფიასა და თანადროულ ლიტერატურას შორის. მისი აზრით, ევოლუციური განვითარების ამ ზოგად ხაზს თითქმის ყველა ხალხის შუასაუკუნეობრივი კულტურა ასახავს. საფრანგეთში ტრუბადურების შემოქმედებაში მკაფიოდ გამოიყოფა ამგვარი განვითარების სამივე ფაზა:

1. გათხოვილი ქალი
2. იდეალური ქალი
3. წმინდა ქალწული, ღვთისმშობელი ან ღმერთი

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, რაინდული ლიტერატურა ეხმაურება აგიოგრაფიული ნაწარმოებების იდეებს. აქაც შეიძლება დავინახოთ მსგავსება „ვეფხისტყაოსანსა“ და „პერსევალს“ შორის. „ვეფხისტყაოსანში“ უზენაესის მეტაფორულ სახეს ხედავდა შ. ნუცუბიძე.

შუასაუკუნეობრივ ლიტერატურაში გავრცელებულია ველად გაჭრა. მაგრამ უნუგეშოდ შეყვარებული რაინდები არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც იქცეოდნენ ასე. ეს იდეალური მიჯნურობის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენდა. ფეოდალური ხანისთვის ეს ყოფილა საკმაოდ ხშირი საყოფაცხოვრებო მოვლენა. მოღწეულია უიმედო სიყვარულის გამო გაჭრილი პართენ მდივნის წერილი, რომელიც შეყვარებულია თავის ნათლიდედაზე – მეფის ასულზე (1, გვ. 226). ტექსტი უნდა ეკუთვნოდეს XII-XIV საუკუნეებს.

„ვეფხისტყაოსანში“ სატრფოს დამკარგველი ტარიელი ადამიანებს შორის ვერ პოულობს ადგილს და ტყეში, გამოქვაბულში ცხოვრობს.

მართალია, უშუალოდ პერსევალი ასე არ იქცევა, მაგრამ „გრაალის ციკლის“ რომანების ერთ-ერთი მთავარი გმირი და მრავალი მაგიდის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, რაინდი ივენი, სიყვარულით გაოგნებული და გონებაწართმეული, ველად გაიჭრა. დიდხანს მართლა უგრძნობლად იყო, რაც ძალიან ამსგავსებს ივენს არა მარტო ტარიელს, არამედ სხვა მრავალ რეალურ თუ მოგონილ პერსონაჟს. აკად. ვახუშტის ... სკი ამაში ხედავს მარადიულ ლიტერ... ტენდენციას. მისი ... აზრით. XVI-XVII საუკუნე... ბის ლიტერატურა ოდნავ თუ განსხვავდება „ბრეტონული“ ციკლისაგან, სერვანტესის კრიტიკამაც კი ვერ შეაჩერა ეს მოძრაობა და ისევ გაგრძელდა მარადიული ბელეტრისტული თემების დამუშავება: სიყვარული, კურტუაზია... (4, გვ. 13).

განსაკუთრებით საინტერესო მაგალითია პერსევალისა და მეფე არტურის შეხვედრა. პერსევალი სატრფოს გახსენებისას უგუნოდ გახდა და გამოეთიშა გარესამყაროს, ისე რომ აღარაფერი ესმოდა. არტურმა უცხო რაინდის ამბის გასაგებად თავისი მსახურები გააგზავნა, მაგრამ რაინდი ისე იყო თავის ფიქრში გართული, რომ ვერაფერი შეამჩნია. როცა მეფესთან წაყვანას ძალით უპირებენ, პერსევალი არტურის რაინდებსაც და ამირბარსაც შეებრძოლება. ბოლოს დაღონებული მეფე თავის ძმისწულს გოვენს აგზავნის, რომელიც მშვიდად დაარწმუნებს პერსივალს, რომ არტურს წარუდგეს (7, 123).

„ვეფხისტყაოსანშიც“ როსტევანი ნადირობისას გადაეყრება მტირალ ტარიელს, რომელიც თავის სატრფოზე დარდობს. როსტევანი მონებს უგზავნის, რომ მეფესთან მიიყვანონ. მაგრამ ტარიელი ისეა თავის ფიქრში ჩანთქმული, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს. მონები მის ძალით წაყვანას ცდიან, მაგრამ ის მათ შეებრძოლება და, როცა შეამჩნევს, რომ მისკენ მეფე მოემართება, თავს გაარიდებს. და აქაც უკვე საქმეში ჩაერთვება ავთანდილი. თ. ქილაძე ავთანდილს უწოდებს გონებისმიერ რაინდს, ხოლო ტარიელს – გრძნობისმიერ რაინდს. ამ კვალიფიკაციით შეგვიძლია ვისარგებლოთ „გრაალის“ ციკლის მიმართაც – პერსევალი გრძნობისმიერი რაინდია, გოვენი კი – გონებისმიერი რაინდი.

ერთგვარი მსგავსება ამ ორი ნაწარმოების ბედშიც შეიმჩნევა: ისინი ისეთი პოპულარობით სარგებლობდნენ, რომ შეიქმნა მათი უამრავი ვერსია თუ გაგრძელება.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსანსა“ და „პერსევალს“ შორის არის სიუჟეტურ-მხატვრული მსგავსებები, გარკვეული ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალური მოვლენებით განპირობე-ბული.

ბიბლიოგრაფია

1. კაკაბაძე ს., რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. თბ., განათლება, 1966
2. ჯავახიშვილი ... ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1945, ტ. II
3. რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“, მდბ., 1970
4 Веселевский А. Н., Избранная литература. 1939
5. Berry A., Florilege des Troubadours. P 1930
6. Markale J., Perseval le Gaulois, p., Pygmalion 1997

ნარგიზა მესხია

წარსულის აღქმა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში

„კულტურა ეს წინაპართა საფლავების კულტიაო“ – უბრძანებია ერთ ბრძენკაცს და ამ ნათქვამის ნათელი დადასტურებაა დიდი ქართველი რომანტიკოსის გრიგოლ ორბელიანის მხატვრული სამყარო.

საყოველთაოდ ცნობილია, მსოფლიოს სახელგანთქმულ რომანტიკოსთა დარად, ჩვენი რომანტიკოსებიც უწიოდნენ უამურ აწმყოსა და განადიდებდნენ წარსულს. წინა საუკუნეების გაიდეალება კი იმას გულისხმობს, რომ გარდასულ დროთა წიაღში მხოლოდ კარგი და მშვენიერი დაინახო, ავსა და ნეგატიურს თვალი მოუხუჭო. ერთი სიტყვით, იდეალიზაცია ნიშნავს მწერლის ტენდენციურობას, ცალმხრივობას. საინტერესოა, რითი განსხვავდებიან რომანტიკოსები კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებისგან წარსულის ასახვისას? კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელნი წარსულში როგორც ნათელს, ისე ნრდილოვან მხარეებსაც ხედავენ, განსხვავებით რომანტიკოსთაგან. ამგვარი იდეალიზაცია თითქმის ყველა ქართველ რომანტიკოსს ახასიათებს: ვახტანგ ორბელიანს, ალექსანდრე ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ყველაზე ფართოდ, ყველაზე ვრცლად წარსულის განდიდებას გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ვხვდებით.

იდგა 1832 წელი, მღელვარე ხანა, რამაც ღრმა კვალი დააჩნია ორბელიანის სულსაც. ამ დროს დაწერა დიდებულმა ლირიკოსმა ცნობილი „იარალის“, სადაც პოეტი იმ დროს იგონებს, როცა ნამდვილად ქართველურად ჩქეფდა ცხოვრება, იშლებოდა ქართული სუფრა, ტყე-ჭალებს ახმიანებდა ჩვენებური „მრავალჟამიერი“.

„როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად,

როს ერთგულება, სარწმუნოება იყვნენ თვისებას შეადგინებდნენ,

ოდესცა ბრძოლა და მამაცობა მათსა სახელსა განადიდებდნენ“.

თავის დროზე ერთმა ცნობილმა ავტორმა ისიც კი ბრძანა: ორბელიანმა აქ „კუჭის პატრიოტიზმი“ გამოხატაო. არადა, როგორც ცნობილია, პოეტი სწორედ ამ ლექსის დაწერისათვის დააპატიმრა მეფის ხელისუფლებამ. მაშასადამე, ცარიზმის მოხელეებმა უკეთ გაიგეს ამ ნაწარმოების პატრიოტული მიზანდასახულება, ვიდრე ქართველმა კრიტიკოსმა. მართლაც, ქმნილებაში ქრის ანტიცარისტული განწყობილება. ცარიზმი გველეშაპად არის გამოყვანილი. ეს სწორედ ის ქვემძრომია, რომელზედაც ჯერ კიდევ ალ. ჭავჭავაძე გვეუბნებოდა: „გველივე შთება გველად!“ აქვეა წამოჭრილი მამულის მხსნელი გმირის ძიების იდეალი. როცა თავის ეპოქას ხედავდა, ორბელიანს გული უკვდებოდა. ისეა დარჩენოდა, ოცნებით წარმოესახა დევგმირი, რომელიც მოულოდნელად „აღნნდებოდა“ ქვეყნის მხსნელად, კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს ხელ-ფეხს აუხსნიდა, იარას მოჰბანდა, ირაკლისეულ ხმალს წელზე შემოარტყამდა და ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეულ მზეთუნახავს დაიხსნიდა, შუქთ ელვარებას დაუბრუნებდა:

„ვინ აღნნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით

უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს!“

გმირის ძიების იდეალი ერთობ თვალწარმტაცი გამოდგა. ეს მოტივი შემდგომ აიტაცეს ილიამ და აკაკიმ. სწორედ ილიას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები:

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვსტირი?“

აკაკის „ბაში-აჩუკში“ კი საქართველოს მხსნელად წმინდა გიორგი გვევლინება, რომელიც უსულოდ დასცემს მიწაზე საძულველ ვეშაპს. და ასე, სიზმრად თუ ცხადად, ხან თამარის, ხანაც კიდევ ჩვილი ყრმის – მომავალი გმირის – წარმოსახვით ეძიებდნენ ქვეყნის მოყვარულნი ეროვნულ მხსნელს, ელოდნენ ისე, როგორც ქაჯეთის ცხრაკლიტულში გამომწყდეული ნესტანი – ტარიელს.

გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოში“ საქართველოს საუკეთესო მოვლენები და ფაქტებია გაშუქებული. ავტორმა აქ გამოგვისახა ის გმირები, რომელთა „საქმენი საგმირონი“ დღესაც აღაფრთოვანებს ხალხს. პოეტი გულმოკლულია იმის გამო, რომ აღარაა ძველი დიდება, წასულა თამარისა და დავითის დრო. შემოქმედს „მამა-პაპათა აკლდამებიდან“ გამოჰყავს ფარნაოზი, რომელმაც „ჰქმნა ერთმთავრობა“ და მოსცა ერს ერთობა; შემდგომ ამკობს მირიანს, რომელიც „შეჰმუსრავს კერპთა მათის ბომონით“. პოეტი დიდი ოსტატობით გვიხატავს თამარის დროში ქვეშ გაერთიანებული „დიდი სამოთხის კუთხე პატარას“. ამით იძლევა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა დახასიათებას. მათ ყველა ნიშანს თუ შევკრებთ, მივიღებთ ივერიელის ზოგად დახასიათებას. ამ ხალხს უგალობს ორბელიანი შემდეგ სტროფში:

„სხვა საქართველო სად
არის, რომელი კუთხე ქვეყნისა.
ერი – გულადი, პურადი,
მებრძოლი შავის ბედისა?!“

პოეტს არც „ქართლისათვის“ წამებული ქეთევანი ავიწყდება; გორგასალი კი „ბრძოლის ღმერთადაა“ წოდებული; დავითს მოიხსენიებს, რომელმაც აღადგინა იბერია და ხალხმაც აღმაშენებელი უწოდა; აგერ წარმოსახულია ვახტანგ მეექვსე, პოეტი მეფე, რომელმაც უცხოობაში განუტევა სული;

აგერ პატარა კახი, ვისთან
ერთადაც დაიმარხა
ი ვ ე რ ი ი ს
მღელვარე სული:

„მამული ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“.

„სადღეგრძელოში“ არ არის დავიწყებული არც ხალხის წიაღიდან გამოსული სამასი არაგველი, რომელთაც სამასი გმირი სპარტელის მსგავსად სიკვდილი არჩიეს ომში უკანდახევას.

საქართველოს ისტორიაში უჩვეულო შარავანდედით შეიმოსა დიდი მოურავის სახე. გიორგი სააკაძეზე დიდი ფიგურა, ალბათ, ძნელი მოსაძებნია ისტორიაში. აი, სწორედ ასეთ გმირს აუარა გვერდი გრიგოლ ორბელიანმა. რატომ? ისმის კანონიერი კითხვა. პასუხი ასეთია: როგორც ჩანს, ალბათ, ერეკლე მეორის შთამომავალმა ორბელიანმა ვერ აპატია გიორგი სააკაძეს ის ომი, რომელიც მან თეიმურაზ პირველს გაუმართა ბაზალეთის ტბასთან. დიახ, აქ, ბაზალეთის ტბასთან, აღმართა დიდმა მოურავმა ხელი „ღმრთისა სწორ“ ბაგრატოვანზე. არადა, ორბელიანს კარგად ახსოვდა „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები: „ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია?!“

წარსულის სურათები მგოსანმა სხვაგანაც გააცოცხლა. ეს ლექსია „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. წარსულის დიდება აქაც ტკბილ მოლანდებად გაირბენს ჩვენ თვალწინ. დიდი მეფის წინაშე ორბელიანი დამარცხებული სარდალივით თავჩაქინდრული დგას. მას თვალებში ვერ შეუხედავს თამარისათვის და მის წინაშე ბავშვივით ლუღლუღებს. როგორც მთა ვერ დაიჭერს ვულკანურ ლავებს, ისე ორბელიანიც ვერ უმკლავდება გრძნობებს და აღმოხდება:

ახალი წიგნები





„შენს წმინდა სახეს, შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა, თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა“.

დიდებულმა მეფე-პატრონმა „ყოვლგნით სიკეთემიუწვდომელი“ მამული ჩააბარა ხელში ვაჟკაცს, ის ივერია დაუტოვა, რომელიც გადაჭიმული იყო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის“. ხარდალმა კი იგი „და-ცა-ფანტა“, გაანიავა. შემოქმედს ორგვარი გრძნობა ეუფლება, როცა „ღვთივკურთხეულის“ ფრესკას უცქერებს: „მიხარის, გიმზერ, ვწუხვარ და გიმზერ“. და უხარია, რომ ქმნილების ხილვით ბედნიერ საუკუნეში, მე-12 საუკუნეში გადასახლდა. მეორე მხრივ, პესიმისტური განწყობილება ეუფლება, რამეთუ წარსული ივერიის დიდების ფონზე ხედავს დღევანდელ უბადრუკ, ფერდაკარგულ საქართველოს:

„მიხარის, გიმზერ, ვჰსწუხვარ და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!“

აქ გრიგოლ ორბელიანი ჩვენ გვაგონებს ერთ რომაელ კონსულს, რომელმაც მადლი შესწირა ღმერთებს დაბრმავებისათვის, რადგან ვეღარ დაინახავდა იმდროინდელი რომის დაცემასა და განადგურებას.

ამავე ლექსში ავტორი სთხოვს თამარს, გადმოხედოს თავის მამულს, კიდევ ერთხელ უპატრონოს, კიდევ ერთხელ შემოარტყას ელვარე ხმალი, რათა ივერია

„აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“.

წარსულის რომანტიკულ გაიდეალებას ისეთ ლექსშიც ვხვდებით, რომელშიც თითქოსდა, იგი არც უნდა ყოფილიყო. „პასუხი შვილთა“ თაობათა შორის პოლემიკას ეხება, მაგრამ ორბელიანი აქაც პოულობს დროსა და საშუალებას, რათა ძველი თაობის გმირობას გაუსვას ხაზი. მგოსანი მამა-პაპათა ნაღვაწს აიდეალებს:

„მამანი თქვენნი, თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები, დაღისტნის მთები
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
მათ დაიფარეს, სისხლით დაიცვეს
სისხლ-შემოსილი მამული თვისი
და სახე ღვთისა,
მცველი ერისა–
ენა, საყდარი, სარწმუნოება!“

ფილოსოფოსი ლაიბნიცი გვასწავლის: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. თუ არმყო არ გარდაიქმნება, ფუჭია ოცნება მომავალზე. ამიტომაც საჭირო იყო არა წარსულთან ლაციცი, არამედ ბრძოლა მომავლისათვის. ამას ორბელიანის პოეზიაში ნაკლებად ვხედავთ. ეს მხოლოდ ილიამ შეძლო, როცა განაცხადა:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!“

მაშასადამე, ორბელიანი ტიპური რომანტიკოსია. ეს კი იმას გულისხმობს, რომ მისი შემოქმედების დედა ძარღვი ეროვნული მოტივია. მისი პოეზიის ცენტრალური ნერვი პატრიოტიზმია. გარდასული ჟამის ლაბირინთებიდან სიტყვის ოსტატს ფერფლი და ავლი კი არ გამოაქვს, არამედ მხურვალე ნაღვერდალი და ამ ღველფს მხურვალებით ჩვენ, ქართველებს, დროის ქარიშხლისაგან გაციებულ გულებს გვითბობს.

წარსული „დიდების დღენი“, ჩვენი ისტორია სახელოვანი პოეტისათვის ის ფერფლწაყრილი ნაპერწკალია, რომლისგანაც ისეთი ალი უნდა აინთოს, რომ გაანათოს ქართული სული, „მოხუცს ცრემლი მოადინოს“, ხოლო „მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალს მისწვდეს“.



გიორგი ჯავახიშვილი, როინ ქიქაძე

წერილები ალექსანდრე გვენცაძის არქივიდან

ალექსანდრე გვენცაძე მთელი 50 წელი მესვეურობდა თელავში ლიტერატურულ-თეატრალური დილა-საღამოების ჩატარებას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს თელავში მოეწყო შალვა დადიანის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა საიუბილეო საღამოები.

1945 წლის დეკემბერში ქალაქ თელავისა და რაიონის მოსახლეობამ დიდი სიყვარულით მოაწყო შეხვედრები იოსებ გრიშაშვილთან. როგორც ალ. გვენცაძე იგონებდა „დიდი პატივისცემითა და ფაქიზი სიყვარულის გრძნობების გამომჟღავნებით მიიღეს თელაველებმა პოეტი. იოსები რაღაც ბავშვური გულწრფელობითა და სიხარულით იყო შეპყრობილი, ეხვეოდა და ჰკოცნიდა თელაველ ძველ მეგობრებს: ნინო გოგოლაძეს, ივანე პაატაშვილს, ნინო ყაზახაშვილს, დარია აბელიშვილს, ისააკ ტორს, გ. ძამუკაშვილსა და სხვებს.

ი. გრიშაშვილი მიიწვიეს სოფელ წინანდლის მეურნეობაში. მგოსანს შინაარსიანი და გულთბილი სიტყვებით მიმართა წინანდლის პარკის დეკორატორმა ირაკლი ხმალაძემ. პოეტი დიდი პატივისცემის ნიშნად მეურნეობის მუშაკმა ქალებმა ხელში აიყვანეს და ისე შემოატარეს ბაღის ღირსშესანიშნაობანი (გაზეთი „ალაზნის განთიადი," 1969, № 80). 1946 წლის პირველ იანვარს თელავის რაიონულმა გაზეთმა გამოაქვეყნა ალ. გვენცაძის წერილი, სადაც მოცემული იყო პოეტთან შეხვედრების ვრცელი ანგარიში.

ალექსანდრე გვენცაძის არქივში დაცულია იოსებ გრიშაშვილის რამდენიმე წერილი. აი, ისინიც: 1. „პატივცემულო ალექსანდრე! მივიღე თქვენი ნაშრომის ამონაბეჭდები. მართლაც რომ ახალი კუთხით არის დანახული ვაჟას სიდიადე. მოხსენიებისათვის გმადლობთ!

როგორ მინდოდა შემოდგომაზე ამოსვლა თელავში... მაგრამ არ ისურვეთ! იუბილემ გაიარა, დაგვიანდათ, ალბათ ამას იტყვით. განა გრიშაშვილს იუბილეს გარეშე არ შეუძლია თელავში მოსვლა? აი, გაზაფხულზე ფიქრეთ, თუ თარიღი გინდათ, აპრილის 23-ში დავიბადე. მიყვარს აპრილი.

მოკითხვა ვისაც ვახსოვარ: ნინო ყაზახაშვილს, ტორს, ვანო პაატაშვილს.

თქვენი ი. გრიშაშვილი.

P. S. ერთი მიშუამდგომლე თქვენი გაზეთის რედაქტორთან, რათა თელავის გაზეთი მაინც გამომიგზავნოს."

2. „ალექსანდრე! ამასწინათ დავავალეთ ერთ ამხანაგს, ჩემი ახალი წიგნი „თეატრალური წერილები" გამოეგზავნა. იმ კაცს მგონი მისამართი და გვარი შეეშალა, მაგრამ ისე ცნობილი ხარ თელავში, რომ მიიღებთ. ახლა დამიდასტურე მიიღე თუ არა. გამიგე, როგორ გამოვიწერო თელავის გაზეთი?

შენი სოსო 1961წ."

3. „ძმაო ალექსანდრე! ამ ბარათში მოხსენებული – თამაზ შათირიშვილი – ახალგაზრდა პოეტია. სიღნაღიდან, მოწყურებულია სწავლას, სურვილი აქვს თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძოს სწავლა. ძალიან გთხოვ, მიიღო. შარშან ყოფილა შენთან, მაგრამ ვერ მოხვდა (რუსულში ჩაჭრილა). იქნება ჩემო ალექსანდრე, როგორც სიღნაღელ გლეხის შვილს, შეღავათი მისცე და მერე დარწმუნებული ვარ წავა და წავა...

ძალიან გთხოვ... ნუ გადააგდებ ობოლ ახალგაზრდას და დაეხმარე...

შენი სოსო გრიშაშვილი."

ალექსანდრე გვენცაძეს, როგორც თაობათა აღმზრდელს, მთელი საქართველო იცნობდა. ზოგ ოჯახში მისი აღზრდილი იყო ოჯახის უფროსი, შვილი, შვილიშვილი და შვილთაშვილიც კი. ეს კარგად იცოდა საქართველოს სახალხო პოეტმა და სახელოვან პედაგოგთან ახლო მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. მკითხველს ვთავაზობთ გიორგი ლეონიძის წერილებს: 4. „დიდად პატივცემულო ბ-ნო ალექსანდრე! სალამი! ბოდიშს გიხდი, რომ ასე დაგვიანებული გწერთ მიზეზისა გამო სხვათა და სხვისა.

გწერთ ს. გოშაძის წიგნის გამოცემის შესახებ. პირველი მიზეზი, რაც ხელს უშლის წიგნის გამოცემას, მისი მხატვრული ღირსების სისუსტეა; მეორე, ის პერეტრუბაციები, რომელიც ხდება გამომცემლობაში (ლიკვიდაცია, გაერთიანება 1 იანვრიდან) და საამისო წინასწარი ფუსფუსი და

მზადება. მესამე, არც ერთ თქვენგან დასახელებულ პიროვნებას არც ხმა ამოუღია, არც თითი გაუნძრევია! არჩ. კოკილაშვილსაც არაფერი უთქვამს.

წიგნი რომ გამოვიდეს, საჭიროა გამომცემლობამ ნახოს, სარედაქციო საბჭომ თუ კოლეგიამ იზრუნოს, თავისი აზრი გამოთქვას, თქვენ კი არ წარმოგიდგენიათ. მე მგონი, საქმეს მაინც მოეშველება. 1963 წ. რომელიმე წიგნი ამოვარდება გეგმიდან წარმოუდგენლობის გამო და შესაძლოა „ჩავაკვეხოთ." მე პირველი ოქტომბრიდან ქობულეთს მივდივარ დასასვენებლად. ჩამოვალ თვის ბოლოს და შევხვდებით, ვეცდები ყოველნაირად.

სალამი თქვენს ინსტიტუტს და საერთოდ, თელავს და თელაველებს.

თქვენი გიორგი ლეონიძე
29. 9. 1962წ."

5. „დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

სალამი თქვენ და ყველა თელაველს!

თქვენი შედგენილი წიგნის საქმე, ს. გოშაძის ლექსების კრებულის გამოცემისა, სასიკეთოდ შემობრუნდა. გამომცემლობის მესვეურებს ველაპარაკე და შემპირდნენ.

ბ. ალექსანდრე! რა მოხდა, ვინ და რატომ დაუკარგეს თელაველებს ბატონის წყარო? მე ველაპარაკე მედეა მეზვრიშვილს და შემპირდა, რომ იზრუნებს. თქვენც მხარში ამოუდექით. საზოგადოდ, თქვენი ინსტიტუტი დარაჯად უნდა ედგეს ყველა ეროვნულ საქმეს.

წელს თქვენი ინსტიტუტის სტუდენტი გახდა ჩემი შვილობილი გიორგი ჯავახიშვილი. კარგი ყმაწვილია, ობლად გაზრდილი და მას ჩემი ხელფასიდან ყოველ თვე მოუვა 50 მანეთი. ეს ჩემი სახელობის სტიპენდიანტი იქნება. მეც უმამოდ გავიზარდე და დღესაც კეთილად ვიხსენებ იმათ, ვინც ჩემს ახალგაზრდობაში ამაგი დამდო. დარწმუნებული ვარ, თქვენც არ მოაკლებთ ყურადღებას. ბატონმა ნიკომაც იცის და თქვენც შეგიძლიათ მაგ ყმაწვილის საშუალებით დამიკავშირდეთ. თელავში ეს იქნება ჩემი ელჩი...

დავით გოგოჭურის ცხოვრებისა და სამსახურის ბედიც მაწუხებს; იცით, რომ თქვენთანაც და ჩვენთანაც მუშაობს. უჭირს, და ისე დაუნიშნეთ ლექციები, რომ ხელი არ შეუშალოს ორივე სამსახურში.

თქვენი ინსტიტუტი მე მიყვარს და მინდა იცოდეთ, რომ ის, თავის დროზე, მე და გიორგი თავზიშვილმა მოვნათლეთ იაკობ გოგებაშვილის სახელზედ."

თქვენი გიორგი ლეონიძე
22 დეკემბერი, 1962 წელი."

6. „პატივცემულ ალექსანდრეს სალამი და დღეგრძელობა!

მცირე სათხოვარით მინდა შეგაწუხოთ: თქვენთან ასრულებს კურსს ბანცურაშვილი (ლექსებსაც წერს, ნიჭიერი გოგონაა). მე მინდა სადმე მოვაწყო თბილისში, ან გარეთ რედაქციებში, თუ მოსახერხებელია, იქნებ არ გაანაწილოთ. თუ ჩემი თხოვნის შესრულებას შეძლებთ, იქნებ გააგებინოთ მას, რომელიც მეტად ნერვიულობს.

კვლავ ბოდიში შეწუხებისათვის. სალამი მეგობრებს და დავით რექტორის მემკვიდრეს ჩვენს ნიკოს, ქაჯიურს, ვანოს და სხვ.

სიტყვამ მოიტანა და რადა გყავთ მიგდებული დავით რექტორი. თელავის პირველი რექტორი, – განმანათლებელი, თავის დროისათვის ძალზე ცნობილი ფიგურა. მასალები საკმაოა. მისი ნაწერები თუ გადმონაწერები აუარებელი. ნაუჯექით ვინმე და დაწერეთ მის შესახებ ნაშრომი. ამის გარდა, დაახატვინეთ მისი სურათი და თქვენს ინსტიტუტში, დარბაზში ჩამოჰკიდეთ.

არ გეპატიებათ. ნიკოსაც მოახსენეთ, თორემ ახი წლის შემდეგ თქვენც ასე დაგივიწყებენ.

თქვენი გიორგი ლეონიძე."

ალ. გვენცაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავის სახელოვან მასწავლებლებთან, აკადემიკოსებთან აკაკი შანიძესთან, ვარლამ თოფურიასა და არნოლდ ჩიქობავასთან. მათთან მიმოწერიდან რამდენიმე წერილს ვთავაზობთ მკითხველს:

7. „თელავი. სამასწავლებლო ინსტიტუტი. დოც. ალ. გვენცაძეს.

ბ-ნო ალექსანდრე, თქვენი წერილი (25. X-ს დაწერილი) დროზე მივიღე, მაგრამ პასუხი დამიგვიანდა, რადგანაც საჭირო იყო საბუთების დაძებნა და თარიღების დადგენა. ჩემთან აღმოჩნდა დავთარი, სადაც ხელი გიწერიათ ხელფასის მიღებაზე ყოველთვიურად 1929 წლის დეკემბრიდან 30 ივნისამდე. ეს ის დავთარია, სადაც იწერებოდა სატერმინოლოგიო კომიტეტის ხაზით მიღებული თანხების გასავალი (კომიტეტს მაშინ ვ. ბერიძე მეთაურობდა). ამ ხაზით თქვენ გეძლეოდათ თვეში ექვსი თუმანი. მაგრამ თქვენ ალბათ უნივერსიტეტის თანხებიდანაც გეძლეოდათ რამე.

თქვენ იწერებით 1929 სექტემბრიდან 1930 წლის სექტემბრამდე. აღნიშნულ დავთარში კი თქვენი ხელის მოწერა 1929 წლის დეკემბრიდან იწყება და მოყვანილია 1930 წლის ივნისამდე.

უნივერსიტეტის არქივში (რომელიც ამჟამად ალბათ ცენტრალურ არქივშია გადაცემული, არ ვიცი დანამდვილებით) და თქვენი სამსახურის ვადა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდება.

ბ-ნო ალექსანდრე! ეს სამი დღე უქმია. ჩემი ცნობების თანახმად

მე საბუთს დაგიწერ და ხელსაც მოგიწერ და ამ დღესასწაულების შემდეგ გამოგიგზავნით, მაგრამ თქვენი მამის სახელი რომ არ ვიცი? მაცნობეთ საჩქაროდ დეპეშით, აგრეთვე ისიც თუ რა ერქვა თქვენს თანამდებობას: ლაბორანტი, უმცროსი მეცნ. თანამშრომელი, თუ სხვა.

გისურვებთ წარმატებას. ა. შანიძე, 7. X. 1950."

8. დოც. ალექსანდრე გვენცაძეს (თელავში). ბატონო ალექსანდრე, თქვენი გამოგზავნილი მოხსენების ტექსტი („ირიბი დამატება სახელობით ბრუნვაში", 1942) თავის დროზე მივიღე და დიდად მადლობელი ვარ, მაგრამ თქვენ უთუოდ უკმაყოფილო იქნებით, რომ მაშინვე ვერ გაცნობეთ.

გთხოვთ მაპატიოთ. თქვენი ა. შანიძე, 4. III, 53.
თბილისი, ლარსის ქ. № 5."

9. „ბატონ ალექსანდრე გვენცაძეს
თბილისი, 2. III. 1977.
(თელავის პედაგ. ინსტიტუტი)

დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! მივიღე თქვენი მილოცვა ჩემი დაბადების 90 წლისთავის გამო. მილოცვა ალბომის 23 გვერდზეა მოთავსებული, სადაც თქვენ იგონებთ ჩვენს შეხვედრებს უნივერსიტეტში. ალბომმა მომაგონა ჩვენი ერთად მუშაობა უნივერსიტეტის ლექსიკოლოგიის კაბინეტში. წამოწყება კარგი იყო, მაგრამ იმდროინდელ პირობებში (მოგეხსენებათ მე უნდობლად მიყურებდნენ ი. ჯავახიშვილის დაცვის გამო) მას სათანადო შედეგი არ მოჰყოლია. კაბინეტი დახურეს.

ეჰ, რა გაეწყობა! გული მაინც არ გამიტეხია და ცოტა რამ მეც გავაკეთე მეცნიერებაში თუ პედაგოგიური მოღვაწეობით.

დიდად გმადლობთ მოგონებისა და მილოცვისათვის.

მარად თქვენი კეთილის მსურველი ა. შანიძე."

10. „6. I. 1977. დოცენტს ალ. გვენცაძეს (თელავში)

მადლობას მოგახსენებთ, ბატონო ალექსანდრე, საახალწლო მილოცვისათვის და აგრეთვე გაზეთის გამოგზავნისათვის, რომელშიც თქვენი წერილია ი. ჯავახიშვილის შესახებ.

თქვენც გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და დაწინაურებას მეცნიერებაში.

ა. შანიძე."

„თბილისი, 24. XII. 1979. ბატონ ალექსანდრე გვენცაძეს (თელავი, პედაგოგიური ინსტიტუტი)

ბატონო ალექსანდრე!

11. „ალაზნის განთიადის" 29 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი ნ. ქორთუას და გ. ჯავახიშვილის წერილიდან შევიტყვე, რომ თქვენ უკვე 75 წლისა გამხდარხართ. მოგილოცავთ ამ დიდ ამბავს თქვენს შრომისა და შემოქმედების გზაზე და მხურვალედ გისურვებთ ტანის სიმრთელეს, დღეთა გრძელობას, შეუნელებელ კვლევა-ძიების ნაყოფს და ბედნიერებას. კვლავაც მენახოს თქვენი დაუღალავი შრომის ნაყოფი! (ამით, როგორც ხედავთ, ჩემს თავსაც ვლოცავ).

მარად თქვენი კეთილისმსურველი,
თქვენი ყოფილი ხელმძღვანელი უნივერსიტეტის
ლექსიკოლოგიის კაბინეტში ა. შანიძე."

12. „ 22. I. 1975. ბატონ ალექსანდრე გვენცაძეს (თელავში)

დიდად გმადლობთ ბ-ნო ალექსანდრე თქვენი „ზოგადი სტილისტიკის საფუძვლების" მოძღვნისათვის.

გისურვებთ შემდგომ და შემდგომ წარმატებებს.

ა. შანიძე."

13. „1. III. 1986.

დიდად გმადლობთ, ბატონო ალექსანდრე მილოცვისათვის.

იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ!
დიდი პატივისცემით ა. შანიძე."

ალ. გვენცაძის არქივში დაცულია აკადემიკოს ა. შანიძის მიერ გამოგზავნილი მილოცვის ბარათები.

14. „დიდად პატივცემულო ალექსანდრე!

სალამი. ღრმა პატივისცემით მოკითხვა თქვენებს. უთუოდ გამოცდების ციებ-ცხელება გაქვთ.

გიგზავნით თქვენი შრომის მცირე ნაწილს. იგი თქვენგან დიდ დროს არ მოითხოვს. ვწუხვარ, რომ სხვა ნაწილებს ვერ გიგზავნით. ზოგი მათგანი ყურადღებით გადავიკითხე (თვლის სისტემა ქართულში, რიგობითისა და წილობითის აღნაგობა, რაოდენობითის მორფოლოგია). მაგრამ რთულ დაწერილად მომეჩვენა. საინტერესო მოსაზრებები გაქვთ, მაგრამ დასაბუთება არ არის ყოველთვის დამაჯერებელი. ამიტომ დავიტოვე, რომ კიდევ გადავიკითხო. ვფიქრობ, შრომის დიდი ნაწილი მოგაწვდინოთ 25 აგვისტოსათვის. თქვენ ნუ ნაღვლობთ. ვკარაუდობ, რომ ჩემს ქალიშვილს გამოვახვეწებ და მოვალ, ოღონდ თქვენთან სახლში არა! აქედანვე იცოდეთ! იყავით კარგად.

თქვენი ვ. თოფურია. 1949 წ. 10. VIII.

მოულოდნელად მომიხდა ქალაქიდან გასვლა ერთი დღით."

15. „დიდად პატივცემულო ალექსანდრე!

გთხოვთ მიიღოთ ჩემი სალამი და გულწრფელი მოკითხვა გადასცეთ თქვენებს – ქალბატონსა და ბავშვებს.

ჩვენ ვართ ხან კარგად, ხან ავად. ჩემები მავალებენ მოკითხვა გადმოგცეთ.

თქვენ მაპატიებთ დანაშაულს, ოღონდ ძველს. ვეცდები ახალი დანაშაული არ ჩავიდინო. მთელი თქვენი მასალა გადავეცი დასაბეჭდად ქსენოს 15. IV. თანახმად ბოლო ჟამის დაპირებისა, დაიწყებს ბეჭდვას დღეს, ხვალ. დაბეჭვდის მოთავებამდე საჭიროა გამოგზავნოთ დამოწმებული ლიტერატურის სია, საერთო დასკვნები, შედარებით ვრცელი (იგივე გამოდგება ავტორეფერატისათვის), თუ გსურთ – წინასიტყვაობაც (1-2 გვ-სავალდებულო არ არის)... დაამზადეთ საჭირო საბუთები წარმოსადგენათ და ავტორეფერატი რუსულად. ამათ ნუ დააგვიანებთ.

დიდი მოკითხვა გადაეცით ამხანაგ დიმიტრისა და მისი ოჯახის წევრთ.

იყავით კარგად. მუდამ პატივისცემით ვ. თოფურია, 19. IV. 50 წ."

16. „ 14. VII. 52. დიდად პატივცემულო ალექსანდრე!

სულ გამარჯვებას გისურვებთ. იცოცხლეთ და გაიხარეთ ძვირფასი ცოლ-შვილით.

10 ივლისი მეც მახსოვდა. თქვენი წერილი მივიღე. გამიხარდა. სულ წარმატებებს გისურვებთ. თქვენი მასალები და თქვენზე ერთი წლით ადრინდელი მასალებიც ამ ზაფხულში გადაეგზავნება საატესტაციო კომისიას. ცოტა დაგვიანდა, მაგრამ არა უშავს რა. გული ნუ დაგწყდებათ. ბევრი წვალება უნდა და თანაც ბევრი დაგროვდა.

თქვენს ოჯახს დიდი მოკითხვა გადაეცით.

ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. კახეთში მოდიან IV კ. სტუდენტები (სულ სამი). ფული, მანდატი აქვთ. ინსტრუქციაც მიეცა. სამუშაო ადგილი დანიშნულია ნაფარეული (აქაური მასალები არა გვაქვს). პირველად მოდიან. თელავს ნახავენ, შემდეგ ნაფარეულში გაემგზავრებიან. გთხოვთ გზა და კვალი უჩვენოთ. თქვენებურად ნურც დაიხარჯებით და ნურც გადაეგებით (შარშან ბევრი მოგივიდათ ამ მხრივ), მხოლოდ დარიგება მიეცით და გზა უჩვენეთ. რაიაღმასკომმა მისწეროს იქ, რომ დაეხმარნენ. თუ ვინმე ნაცნობია მიასწავლეთ.

თქვენ დირექტორს დავპირდი, რომ ინსტიტუტის სტუდენტებს წავიყვანდი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, როგორც ხედავთ, თქვენ გაწუხებთ. თუ თქვენ სტუდენტებს მიავლენთ, კარგი იქნება. გრემი – საბუე და სხვა ადგილები შესასწავლია, თუ თქვენი სტუდენტები არ იყვნენ იქ. ვიცი გაწუხებთ, მაგრამ საერთო საქმეა. ამხ. არამ მარტიროსოვი და გრიგოლ იმნაიშვილი მოვლენ. მათ ვერ დავავალეთ სტუდენტთა წაყვანა. საშური სამუშაო აქვთ და თანაც ბევრი.

ახლა თქვენ დაგვეხმარეთ და სხვა დროს ჩვენ დაგეხმარებით. იყავით სულ კარგად.

პატივისცემით ვ. თოფურია."

17. „დიდად პატივცემულო ალექსანდრე! ეს-ეს არის მივიღე თქვენი წერილი. ძალიან გამიხარდა. დიდი მოკითხვა თქვენს ოჯახს. ჩვენ რიგიანად ვართ. ბავშვები წავიდ-წამოვიდნენ, დავრჩით მოხუცები.

ძალიან ცხელა.

მადლობელი ვარ სტუდენტებისადმი ყურადღებისათვის, მაგრამ რა გამოვიდა: თქვენ თუ ასე დაივალდებულეთ თავი და დრო დახარჯეთ, ხარჯი გასწიეთ, შემდეგში იძულებული გავხდები არ მოგმართოთ ამგვარი თხოვნით.

დიდი, დიდი მადლობა. კარგია რომ ამხ. არამი და გრიგოლი დაბინავებულან. თქვენი დახმარება ძალიან კარგია, მაგრამ ხარჯს მაინც ნუ გასწევთ.

თქვენი ორი წერილი მაჩვენეს რედაქციიდან. საინტერესოა, მაგრამ ბევრი რამ არ გავიზიარეთ. მე თქვენ ნებადაურთველად ვთხოვე ამხ. გიორგი შალამბერიძეს შეეერთებინა ორივე წერილი, ახალი მოსაზრებანი შეეტანა და თქვენი და თავისი ხელმოწერით დაებეჭდა. ამგვარად, ერთი წერილი იქნება ქართული ენის სწავლების შესახებ უმაღლეს სასწავლებელში თქვენი და გ. შალამბერიძის ხელმოწერით. თუ თქვენ თანახმა იქნებით ამ წინადადებისა და წერილი კარგი გამოვა, ვითხოვ მის დაბეჭვდას. თუ თანახმა არ იქნებით, მაშინ თქვენი წერილები დარჩება, ოღონდ წარმოდგენილი სახით ვერ დაიბეჭდება: ბევრი რამ არის სადავო და ამდენად შესაცვლელი გახდება.

გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ თქვენი აზრი.

პატივისცემით ვ. თოფურია
26. VII. 52."

„18. დიდად პატივცემულო ალექსანდრე!

სალამი და კარგად ყოფნა.

გთხოვთ ჩემი და ჩემი ოჯახის გულითადი მოკითხვა გადასცეთ თქვენი ოჯახის წევრებს. გისურვებთ ყველას ბედნიერ წელს და ჯანმრთელად ყოფნას.

ჩვენ რიგიანად ვართ. ვწუხვართ, რომ შინ ვერ დაგხვდით და ვერ გნახეთ.

დიდი მადლობელი ვართ ნობათისათვის. საერთოდ გთხოვთ უიმისოდ იყოთ ჩვენი სასურველი სტუმარი!

მიმდინარე წელს ასეთი განზრახვები გვაქვს:

1. მოვაწყოთ საერთო კონფერენცია თქვენი ინსტიტუტის სტუდენტებისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა ექსპედიციის წევრებისა თელავში, აპრილის თვეში. აქედან იქნება 3-4 მოხსენება. თქვენგანაც იქნება ამდენივე. კონფერენცია მიეძღვნება ქართულსა და განსაკუთრებით კახურს. დაელაპარაკეთ თქვენი ინსტიტუტის დირექტორს და,

თუ თანახმა იქნებით, გვაცნობეთ. ადრევე შეგატყობინებთ ჩვენს თემებს. სასურველია დაიბეჭდოს თეზისები. ამას ჩვენ მოვაგვარებთ, თუ დროზე დავამზადებთ თეზისებს. ინსტიტუტს არავითარ ხარჯს არ მივაყენებთ. ალექსანდრესაც ამთავითვე ვაფრთხილებთ, რომ არ იფიქროს გამასპინძლებაზე ერთი ჭიქა ჩაითაც კი. ამაში აქედანვე შევთანხმდებით.

2. თქვენი შრომა „რიცხვითი სახელი" მინდა შევიტანო მონოგრაფიათა კრებულში, რომელსაც ამზადებს ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება. საჭირო იქნება შემოკლება, თითქმის ნახევრამდის. თუ თქვენ ამის თანახმა იქნებით, მაცნობეთ.

გიგზავნით უნივერსიტეტის გაზეთს (ალბათ წერილის ავტორმა გამოგიგზავნათ). წინა წლებშიც და 1953 წელსაც სტუდენტები თავიანთ საანგარიშო მოხსენებებში, რომელთაც ისმენდა კათედრის გაფართოებული კრება, სიამოვნებით და მადლობით აღნიშნავდნენ თქვენს ყურადღებას და დახმარებას. მადლობელი ვართ.

იყავით სულ კარგად.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ვაკე, ლადო კავსაძის ქ. № 20.

ასე ჰქვია ახლა ზოოტექნიკურ ქუჩას.

პატივისცემით ვ. თოფურია 30. I. 54."

19. „დიდად პატივცემულო ალექსანდრე!

მიიღეთ ჩემი გულითადი მოკითხვა თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებმა.

ვწუხვარ, რომ გზიდან გწერთ. ქაღალდიც არ შეეფერება. ორი სათხოვარი მაქვს.

თქვენთან, თელავში, ჩამოვა ორი უკრაინელი სტუდენტი. ქართულს სწავლობენ ჩვენთან. გთხოვთ მოათავსოთ ცალ-ცალკე ოჯახებში გრილ სოფელში. კარგი იქნება, თუ ვინმეს, ოჯახის წევრს, რუსული ეცოდინება. თელავიც დაათვალიერებინეთ. მათ თან ახლავს ასპირანტურადამთავრებული კლარა გაგუა. ყოფილი მასწავლებელი, უნივერსიტეტში საათობრივად კურსს კითხულობს და პედპრაქტიკას ხელმძღვანელობს. ყოველ მხრივ საიმედოა. ლექტორიც კარგია. დავალების შემსრულებელია. კურსებს წაიკითხავს. თუ ნორა მართლა წამოვიდა შეგიძლიათ აიყვანოთ, დაელაპარაკეთ.

პატივისცემით ვ. თოფურია

24. VII. 1964.

მატარებელში წერა ძნელია."

20. „დიდად პატივცემულო ალექსანდრე!

გულითადად გილოცავთ თქვენ და თქვენს ოჯახს მთლიანად ბედნიერ ახალ წელს. ჯანმრთელობისა, სიხარულისა და გამარჯვებისა იყოს ეს 1965 წელი. საერთოდ და განსაკუთრებით თქვენთვის ახალ-ახალი მიღწევებისა და წარმატებისა.

მიიღეთ ეს მილოცვა ჩემგან და ჩემი ოჯახის წევრებისაგან.

თქვენ უთუოდ მიიღეთ მადლობის წერილი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისაგან იმ მზრუნველობისათვის, რომელიც თქვენი დამახასიათებელია და, რომლითაც ბევრი სარგებლობს და მათ შორის, ჩვენი ორი უკრაინელი სტუდენტიც. ნილა და გრიცკო მოხიბლულები ჩამოვიდნენ და აღტაცებით ლაპარაკობდნენ თქვენზე, როინსა და ლიაზე.

კათედრაც მადლობას გწირავთ.

მოკლე ხანში შეიძლება დაიბეჭდოს სტატია „ახალგაზრდა კომუნისტში" ქართული ენის სწავლების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში არასპეციალურ ფაკულტეტებზედაც. იმედია თქვენ გამოეხმაურებით და მხარს დაუჭერთ ამგვარ წინადადებას. წერილს გამოუგზავნით გაზეთის რედაქციას.

თქვენი პატივისმცემელი ვ. თოფურია."

21. 26. 11. 1969.

დიდად პატივცემულო ალექსანდრე!

თქვენი წერილი მომივიდა. აწლის 4 მარტიდან

სანატორიუმში მიწევს გამგზავრება. (იანვარში გრიპი მქონდა „შედეგიანი"). თბილისში დავბრუნდები მარტის ბოლოს.

აპრილში, 5 რიცხვიდან მოყოლებული, შეიძლება დავისაუბროთ იმ საკითხებზე, რაც თქვენს თემასთან დაკავშირებით წამოჭრილა. სტილის საკითხები ბევრგვარია. დაწყებული გამონათქვამთა („ფრაზათა") ანალიზით და გათავებული ისეთი საშუალებებით, რაც ავტორის აზროვნებას ახასიათებს. (პოზიტიურს მსჯელობებში თუ რისამე კრიტიკულად გარჩევისას. ილ. ჭავჭავაძის სტილი ამ მხრივ განსაკუთრებულია (როგორც ცნობილია).

თქვენი შესწავლის ობიექტი (რით) შემოიფარგლა? კარგი იქნებოდა ეს მოგეწერათ (მარტის დამლევისათვის) და მთავარი საკითხებიც აღგენუსხათ (მაშინ საუბარი, იქნებ უფრო შედეგიანი ყოფილიყო). რა ზოგადი ლიტერატურა – სტილის შესახებ – გაქვთ გათვალისწინებული – ესეც ზედმეტი არ იქნებოდა. – ჩამოგეწერათ. წინასწარ ამის გამოუგზავნელადაც დასაუბრება არ დაბრკოლდება, რა თქმა უნდა.

პატივისცემით არნ. ჩიქობავა.

P.S. თუ აპრილში ისეთი რამ საქმე გაჩნდა, რომ თბილისიდან ჩემი გამგზავრება მოითხოვა, დეპეშით გაცნობებთ."

22. „ დოცენტ ალ. გვენცაძეს.

თელავი, პედაგოგიური ინსტიტუტი.

დიდად პატივცემულო ალექსანდრე!

გადავათვალიერე თქვენი გამოგზავნილი მასალა

(ლიტერატ. სია და დებულებები „სტილისტიკის სახელმძღვანელოს აგებისათვის").

საინტერესო ჩანს, რამდენადაც მე მასში გარკვევა შემიძლია. მხატვრულ ნაწარმოების სტილის კომპონენტებზე ვერაფერს ვიტყვი (აქ თქვენთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა თქვენი მეგობრის გრ. კიკნაძის აზრი).

ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც ბევრი რამ რთული და გაურკვეველია, როგორც მოგეხსენებათ. ამ მხრივ (და მხოლოდ!) შეიძლებოდა ზოგი მოსაზრება მეც გამომეთქვა, თუ კი წინასწარ გარკვეული იქნებოდა, რა მიზანს ემსახურება სათანადო ანალიზი: თეორიულ-ენათმეცნიერულს თუ პრაქტიკულს (სიტყვის „თავის ადგილას" ხმარებას).

ეს ყველაფერი დასაუბრებისას გაირკვეოდა. სასურველია ვიცოდე, როდის შეძლებდით ჩამოსვლას (ოთხშაბათს და შაბათს ლექცია მაქვს; სამშაბათობით ინსტიტუტში ვარ ხოლმე; შეიძლებოდა შაბათ საღამო და კვირა გამომეყენებინა). ლექცია ორსაათიანია და არ დამიშლის, თუ სხვები (სტუდ. სამეცნ., ფაკულტ. ასპირ.) არ ჩამეზიარა.

იმედია, მაცნობებთ თქვენს ვარაუდს.

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით

არ. ჩიქობავა.

7. IV. 1969.

P.S. ლიტერატურაში ბევრი რამ მეტი ჩანს (ზოგიც იქნებ აკლდეს)."

23. ალექსანდრე გვინცაძის არქივში, გარდა ზემოთ მოტანილი პროფესორების აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიასა და არნოლდ ჩიქობავას წერილებისა, დაცულია მისი კოლეგების, ცნობილი ფილოლოგების, პროფესორების: შოთა ძიძიგურის, ალექსანდრე ღლონტის, ივანე გიგინეიშვილის, გრიგოლ იმნაიშვილის, გიორგი შალამბერიძის, არამ მარტიროსოვის, ივანე ქავთარაძის, გრიგოლ კიკნაძის, მიხეილ ჩიქოვანის, მიხეილ ალავიძის, ქეთევან ძოწენიძის, გაიოზ იმედაშვილის, ანტონ კიზირიას, სტეფანე ჩხენკელის, ნორა კოტინოვას და სხვათა წერილები.

ყურადღებას შევაჩერებთ გრიგოლ კიკნაძის მხოლოდ ერთ წერილზე.

1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიდევ ერთ საშვილიშვილო საქმეს დაედო სათავე. ვაჟა-ფშაველას კაბინეტის ინიციატივით დაიწყეს დიდი მგოსნის სიმფონია-ლექსიკონის შედგენა. დედაუნივერსიტეტელებმა ბარათების ამოწერასა და სათანადო წესით დამუშავებაში რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების (თბილისის, ქუთაისის, გორის და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების) სათანადო კათედრები და სტუდენტებიც ჩააბეს.

თელავში ალექსანდრე გვინცაძის სახელზე ბატონმა გრიგოლ კიკნაძემ მოიწერა ასეთი შინაარსის წერილი: „ძვირფასო ალექსანდრე, თქვენ უკვე იცით, რომ ძალიან დიდსა და მნიშვნელოვან საქმეს შევუდექით: გვინდა შევქმნათ ვაჟას ლექსიკური ფონდი (ბარათებზე ამოწერილის სახით). თუ როგორ, ეს კართოთეკის შემდგენთათვის განკუთვნილი „სამახსოვროდან" ჩანს და თქვენთან ამაზე ლაპარაკი ზედმეტია.

სამუშაო არ არის რთული: სურვილის შემთხვევაში ყველა გააკეთებს. სიტყვები ამოიწერება ბარათებზე იმ ფორმით, როგორც ხდება, ვეცადოთ კონტექსტი აზრიანი გამოვიდეს. თუ ყოველთვის ეს ვერ მოხერხდება, რა ვუყოთ! ოღონდ არ მოგვივიდეს მარცხი და ამოუწერელი არ დაგვრჩეს სიტყვა. ეს ნამდვილი წუნი იქნება და თქვენი თვალყურის გადევნება განსაკუთრებით ამას ესაჭიროება.

ჩვენ ასე ვიქცევით უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში: ყოველ სტუდენტს ვაძლევთ ვაჟას ტექსტის 1 ფურცელს (უკანასკნელი გამოცემა) და 1000-ზე ბარათს განმარტებას ვაძლევთ, ჩვენი თანდასწრებით ცოტა ხანს ვავარჯიშებთ, შემდეგ (4-5 დღისა) უკვე შესრულებულ სამუშაოს ვუმოწმებთ და ბოლოს ვიბარებთ მთელ მასალას. ამ მასალას ცალკე ვკრავთ და ვაწერთ, თუ რომელ სასწავლებელში, რომელ ფაკულტეტზე-კურსზე და ვის მიერ შესრულდა ეს სამუშაო. აღვნიშნავთ ბარათების საერთო რაოდენობას და მის გვარს, ვინც სტუდენტთა ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა (ჩვენ 15-20 კაციან ჯგუფებად დავყავით სტუდენტები). ასეთ მასალას აწვდიან ვაჟას კაბინეტს. ვვარაუდობთ, რომ ერთ კვირაში ეს მასალა შეგროვდება, თუმცა ეს დრო შეიძლება ყოველი სტუდენტისათვის საკმარისი არ აღმოჩნდეს).

მთავარი ისიცაა, რომ ფურცელი არ დაიკარგოს.

სულ ესაა და ეს. თუ თქვენ ამ საქმეს ჩაუდგებით სათავეში, ეჭვი არა მაქვს, რომ ღირსეულადაც შეასრულებენ თქვენი სტუდენტები ამ სასიამოვნო დავალებას.

ველი თქვენგან პასუხს: რამდენ სტუდენტს ჩააბამთ ამ საქმეში? შეატყობინეთ ისიც, თუ რა გზით მოგაწოდოთ ფურცლები, ბარათები (და თუკი რამე გჭირდებათ სხვაც).

დავ. გოგოჭური აპირებს წამოსვლას, იქნებ მას გამოატანოთ ყველაფერი?

მაცნობეთ, რაც შეიძლება მალე, ასეთი მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ვაჟა ფშაველას კაბინეტს. ჩემი გვარი და სახელი არ გექნებათ დავიწყებული!

იყავით კარგად. ნაყოფიერ მუშაობას გისურვებთ.

გრიგოლ კიკნაძე

P.S. ბოდიშს ვიხდი, ასე დაუდევრად დაწერილი წერილისათვის, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. თავზე ხალხი მახვევია (ვალაგებთ მასალას) და თქვენთვის ბარათის გამოგზავნის გადადება კი არ შეიძლება. გ. ქ."

ბატონმა ალექსანდრემ კათედრის სხდომაზე რამდენიმე სტუდენტიც დაგვასწრო და იქ გაგვაცნო ბატონ გრიგოლ კიკნაძის ზემოთ მოტანილი წერილი. როცა თბილისიდან ტექსტიდან ამოსაწერი მასალა მოვიდა ის განაწილდა ხუთ სამუშაო ჯგუფზე. ჩვენს სტუდენტებს შეხვდა ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულის მეხუთე ტომიდან 373-ე გვერდიდან 444 გვერდის ჩათვლით. ჯგუფებში 5-6 სტუდენტი შედიოდა. მათ ხელმძღვანელობდნენ: ლეილა შალვაშვილი, ლია ტალახაძე, მედეა სტურუა, ნათელა სეფაშვილი და როინ ჭიკაძე. საერთო ხელმძღვანელი კი ბატონი ალექსანდრე იყო.

ვაჟა-ფშაველას კართოთეკის შედგენისას ვხელმძღვანელობდით ალექსი ჭინჭარაულის „სამახსოვროთი."

მოკლე ხანში დამუშავდა მასალა. ამოწერილი ბარათები ბატონმა ალექსანდრემ სათუთად შეფუთა და თბილისში ამ დიდი საქმის მესვეურს გრიგოლ კიკნაძეს ჩაუტანა. მაშინ ბატონმა ალექსანდრემ მეც დამიმგზავრა და გამაცნო ბატონი გრიგოლ კიკნაძე.

ბატონმა გრიგოლ კიკნაძემ დაკვირვებით გადაათვალიერა თელავის პედინსტიტუტის სტუდენტების ამოწერილი ბარათები და ალექსანდრე ბვენცაძეს მადლობა გადაუხადა.

დაუბრუნდეთ ისევ ალექსანდრე ბვენცაძის არქივს, სადაც დაცულია მის უფროსი კოლეგების პროფესორების: სიმონ ყაუხჩიშვილის, მიხეილ ზანდუკელის, ავლიპი ზურაბიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და მწერლების: ანა კალანდაძის, გიორგი ნატროშვილის, ნიკა აგიაშვილის, იერემია ქარელიშვილისა და სხვათა წერილები. მოვიტანთ ორიოდე მათგანს.

24. „დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

თქვენი ჩემდამი კვლავ ასეთი ყურადღებისათვის მადლობას გიხდით.

„ალაზნის განთიადის" ორი ნომერი მაქვს უკვე: ერთი მათგანი თელაველი უცნობი მკითხველისაგან მივიღე. სიყვარულით მოვიკითხავ თქვენებს და მოწიწებით გაახლებთ ჩემს კრებულებს.

მარად თქვენი პატივისმცემელი ანა კალანდაძე
თბილისი, 1985 წლის მაისი."

„სალამი და გამარჯობა, პატივცემულო ალექსანდრე!

პირველ ყოვლისა- გილოცავთ ახალ – 1968 წელს და გისურვებთ დღეგრძელ და ბედნიერ ცხოვრებას ყველა თქვენი კეთილის მყოფელითა და უახლოესი ნათესავებით. იყავით და იცოცხლეთ მრავალჟამიერ ამ ჩვენს მშვენიერ საქართველოში!

დიდ მადლობას გიძღვნით იმ პატივისცემისათვის, რაც თქვენმა კეთილმა გულმა მოგვაგო დეკემბრის ერთ ლამაზ დღეს, ოღონდ დიდად მწყინს და მაწუხებს ის მდგომარეობა, შინ რომ ვერ დაგხვდით იმ დროს. იმ დღეს ჩვენ არ ვმუშაობდით და სულ არ მოველოდი ასეთ ამბავს. ამიტომ სხვაგან წაველი და ველარ განახეთ. მაგრამ არაფერია. კიდევ ვნახავთ ერთმანეთს. ასე კი დიდად დავალებული დავრჩი და სასიხარულოდაც დამირჩა. რასაკვირველია. ამაზე მეტს არა გეწყვით ამჟამად.

სოლო გოშაძის ლექსთა შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: წელს ჩვენს გამომცემლობას ძლიერ გაუჭირდა, რადგან უქაღალდობის გამო 1967 წლის არც ერთი წიგნი არ დაიბეჭდა. მე არ ვამბობ იმ პატარ-პატარა წიგნაკებზე, საიუბილეოდ რომ გამოვიდა, – არამედ საერთოდ მთავარ გეგმაში შესული თხზულებები და ნაწარმოებები არ დაიბეჭდა. ამიტომ 1967 წლის გეგმის წიგნები, თითქმის უკლებლად 1968 წლის გეგმაში გადავიდა, რამაც მთლიანად შესცვალა ეს უკანასკნელი და ყველა, რაც ამ წელში იყო გათვალისწინებული, 1969 წელში გადაისროლეს. ჯერჯერობით კი არც ერთი წლის გეგმა (1968 და 1969) არაა დაზუსტებული: სად რა წავა და სად მოხვდება, ეს ჩვენთვის გაურკვეველია. ასე რომ წერილით დადებით და დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერას მოგწერთ. მომავალი წლის იანვრის შუა რიცხვებამდე, ვგონებ, ყველაფერი გაირკვევა და მაშინ მოგახსენებთ ყოველივეს. დიდი ბოდიში, რომ აქამდე ვერაფერი მოგწერეთ.

კვლავაც დიდი მადლობა და ძალიან ვწუხვარ, სახლში რო ვერ დაგხვდით.

იყავით მუდამ კარგად და ჯანმრთელად.
პატივისცემით ნიკა აგიაშვილი
1967 წლის 28 იანვარი."

25. „1967 წელი, 10 მაისი.

სალამი და გამარჯობა, პატივცემულო ალექსანდრე!

მე ორი დღე არ ვიყავი თბილისში, – ლადო ასათიანის 50 წლისთავის იუბილე ჩატარდა ცაგერში და იქ წავედით რამდენიმე ამხანაგი.

ჩამოსვლისას, ჩემი მაგიდის უჯრაში დამხვდა თქვენი წერილი და სოლომონ გოშაძის ლექსთა კრებული. შემდეგ როცა მემანქანესთან გავედი რაღაც საქმისათვის, ვნახე – მაგიდაზე იდო თქვენთან გამოსაგზავნი ბარათი – მთავარი რედაქტორის გრ. ჩიქოვანის ხელმოწერით, – გთხოვდნენ, ს. გოშაძის ლექსები გადმოგვეგზავნეთ. რასაკვირველია, ის ბარათი აღარ გამოგიგზავნეთ, რადგან მასალა უკვე ჩემთან იყო, გრ. ჩიქოვანმა კი არ იცოდა ეს. შემდეგ ამხანაგ

გელეთაშვილსაც დაერეკა მისთვის და ასე წინ წავიდა საქმე – კარგია და, შეძლებისამებრ, საერთოდ ეღირსება საწყალ სოლოს კვლავ მზის სინათლეზე გამოსვლა.

ამ ლექსთა კრებულის (რასაკვირველია შერჩევით!) გამოცემა გეგმით (საორიენტაციო გეგმით) განზრახულია 1969 წლისათვის. უნდა იცოდეთ ისიც, რომ ეს ამბავი მანამდე არ ხერხდება, რადგან 1966 წელში ძალზე ჩამოერჩით და ბევრი წიგნი 1967 წლის გეგმაში გადმოვიდა... ყველაფერმა ამან 1966-1967 წლის გეგმები არიედარია და მთელი სიმძიმე დააწვა 1968 წლის გეგმას, რის გამოც იქ ახალი რაიმეს შეტანა (აუცილებლის გარდა) აღარ შეიძლება.

ასე რომ – 1969 წლისთვისაა გამიზნული ს. გოშაძის დაბეჭვდა. ხდება ისიც ჩვენს პრაქტიკაში, რომ ხანდახან, გამონაკლისის სახით, კი შეიძლება გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე გამოვიდეს ესა თუ ის წიგნი. ვიცხოვროთ და ვნახოთ, რა იქნება! თუ რაიმე ცვლილება იქნება კვალად გაცნობებთ.

"იყავით კარგად და ბედნიერად. გისურვებთ მრავალ წელს ცხოვრებას და ჯანმრთელ სიცოცხლეს!

თქვენი პატივისმცემელი ნიკა აგიაშვილი."

როგორც ადრინდელი მიმოწერიდანაც ჩანს, ბატონი ალექსანდრე, რამდენიმეჯერ შეეცადა „დავიწყებული და გამორჩენილი" პოეტის სოლო გოშაძის ლექსების კრებულის გამოცემას, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ალ. გვენცაძეს მეგობრული ურთთიერთობა აკავშირებდა საზღვარგარეთულ ქართველოლოგებთან. მის არქივში დაცულია ციურიხიდან გამოგზავნილი ორი წერილი.

26. დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო.

პირველად ყოვლისა გისურვებთ ყოველივე კარგს ამ დაწყებული ახალი წლისათვის, განსაკუთრებით ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

მოგვივიდა თქვენი 25 აგვისტოს კეთილი ბარათი, რაც შეეხება წიგნებს, იოლანდა მარშევმა დღესვე წერილი მისწერა ქალბატონ ლეილას (იგულისხმება პროფ. ლეილა შალვაშვილი) ამის შესახებ. თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნი აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკა" მივიღეთ. დიდად გმადლობთ ყურადღება და გარჯისათვის.

ხშირად ვიგონებთ სტუმრად გატარებულ სასიამოვნო და მშვენიერ დღეებს თელავსა და მის მიდამოებში.

სალამი, აგრეთვე ი. მარშევისა და რუთ ნოიკომისაგან.

ღრმა პატივისცემით ლეა ფლური
ციურიხი, 7 იანვარი, 1967."

27. „დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

ჩვენი დაპირების მიხედვით გიგზავნით კ. ჩხენკელის ორტომიან შრომას თქვენი ინსტიტუტისათვის. გთხოვთ დაგვიდასტუროთ ამ წიგნების მიღება.

ჩვენ კარგად დავბრუნდით შვეიცარიაში – საქართველოს კი ხშირად ვიგონებთ. დაუვიწყარი დარჩება ჩვენთვის ის დღეები, რომლებიც იმ მშვენიერ ქვეყანაში, მეტისმეტად სიმპათიურ ქართველებს შორის გავატარეთ!

იმედი გვაქვს, რომ თქვენც კარგად ბრძანდებით. გისურვებთ ყოველივე კარგს. მიიღეთ გულითადი მოკითხვა, აგრეთვე იოლანდა მარშევისა და რუთ ნოიკომისაგან.

ღრმა პატივისცემით ლეა ფლური
1 დეკემბერი, 1968წ."

როგორც აქ მოტანილი წერილებიდან ჩანს, ალექსანდრე გვენცაძის არქივი მდიდარია ეპისტოლური მემკვიდრეობით. საყურადღებოა აგრეთვე მეორე მსოფლიო ომში მონაწილე მისი ნამოწაფრების, სტუდენტების, ნასტუდენტრებისა და ნათესავ-მეგობრების წერილები. მათი შესწავლითა და გამოცემით კარგი საქმე გაკეთდება.

ახალი წიგნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა კვანტალიანი

რაღაცატომ კი არა რატომღაც

თანამედროვე ქართულ ზეპირ მეტყველებაში ვრცელდება განუსაზღვრელი (ზოგადი) მიზეზის გამოსახატავად უმართებულო წარმოების ზმნისართი რაღაცატომ, რომელიც მეტოქეობას უწევს ამავე მნიშვნელობის სწორ ზმნისართს – რატომღაც.

წესისამებრ, **რატომღაც** მიღებულია **რატომ** კითხვითი ზმნისართზე **ღა-ც** ნაწილაკების დართვით. ეს ნაწილაკები კითხვით ზმნისართს განუსაზღვრელობითი მნიშვნელობას სძენენ (შდრ. სად? სადღაც; როგორ? – როგორღაც...) **რაღაცატომ** კი შედგენილია ასე: განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **რაღაცა** + **ტომ** . **ტომ** სუფიქსი ქართულში არ არის, თუმცა ამგვარად ბოლოვდება ყველა მიზეზის ზმნისართი (ამიტომ, იმიტომ, მიტომ... რატომ). მათი წარმოება ახსნილია: ჩვენებითი ნაცვალსახელთა მოქმედებითი ბრუნვის ფორმას ერწყმის **რომ** კავშირი (ამით + რომ ***ამიტრომ ამიტომ...**) (გ. როგავა, 373, ქ. ლომთათიძე, 13) ან, სხვა თვალსაზრისით, **მე** ნაწილაკი (ამითა + მე *ამითამ *ამითომ ამიტომ), რაც იწვევს გარკვეულ ბგერით ცვლილებებს სიტყვაში (ძიძიგური, 411).

რაც შეეხება მიზეზის აღმნიშვნელ კითხვით ზმნისართს **რატომ,** იგი ზემოთ დასახელებულ კორელატ-ნაცვალსახელთა ანალოგიით კი არ არის წარმოქმნილი, არამედ **რა** ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაზე **მე** ნაწილაკის დართვით (რადა + მე → *რადამ → *რადომ → რატომ) (ძიძიგური, 412). სხვა მოსაზრებით, რატომ -ისათვის ამოსავალია თუშურ დიალექტში დადასტურებული რადარამ(ევ) (რადარამ[ევ] რადარამ *რადრამ || *რადრომ *რატრომ რატომ). ეს ერთ-ერთი ნიმუშია სონანტთა მეზობლად ხმულთა გამკვეთრებისა, რაც ქართველურ ენებში ფართოდაა გავრცელებული (ქ. ლომთათიძე, 14).

ასე რომ, მიზეზის ზმნისართების **ტომ** დაბოლოება მათში მომხდარი ბგერითი ცვლილების შედეგია და არა რაიმე ფუნქციის მქონე სუფიქსი. **რაღაცატომ** ზმნისართში **ტომ** გააზრებულია როგორც მიზეზის სუფიქსი მიზეზის ზმნისართთა ანალოგიით. ეს არასწორად ნაწარმოები სიტყვა უპირატესად რუსული ენის კარგად მცოდნეთა მეტყველებაშია დადასტურებული. ამდენად, ჩვენი ვარაუდით, **ტომ-** ის სუფიქსად გააზრებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ ფაქტსაც, რომ განუსაზღვრელობითს სიტყვებში (ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში) რუსულ ენაშია გამოყენებული ბგერითად მსგავსი ნაწილაკი (как-то где-то почему-то.) ე. ი. **რაღაცა** და **რატომ** სიტყვათა კონტამინაციით მიღებული **რაღაცატომ** არასწორია და უარსაყოფი. სწორია **რატომღაც.**

ლიტერატურა:

1. ლომთათიძე – ქ. ლომთათიძე, სონანტთა მეზობლად ხშულთა გამკვეთრება (დაყრუება) ქართველურ ენებში, თბ., 1996;

2. [illegible] – [illegible] VIII. 1948;

3. [illegible] – [illegible], 1969.

ახალი წიგნები

ჯანრი კაშია

ქალბატონი იზა ჩანტლაძე – არა მარტო გულისხმიერი მეგობარი

შემთხვევითი იყო თუ არა ჩვენი ნაცნობობა, ვერ ვიტყვი, რადგან ყოველ შემთხვევითობას საფუძვლად სრულიად გარკვეული პირობები უდევს, რომელთა გაცნობიერება ხშირად ვერ ხერხდება. მე ქართველ ლინგვისტებთან მეტად შორეული ნაცნობობა მქონდა – არასოდეს შევსულვარ მათ წრეში და არასოდეს მიმიღია მონაწილეობა მათ პროფესიულ საქმიანობაში.

ჩემი ხედვის არეში ენა იმთავითვე განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო, თუმცა ლინგვისტიკა, ისევე როგორც ნებისმიერი ინსტიტუციონალური მეცნიერული კვლევა, ნაკლებად მიზიდავდა. ენა ფილოსოფოსობის შესაძლებლობით იყო საინტერესო. ჩნდებოდა კითხვები, რომელთა პასუხები, ვგრძნობდი ინტუიციით, ინსტიტუციონალურ და დადგენილ მეთოდოლოგიაში არ ეტეოდა. ამიტომ ენის მიმართ დასმულ სხვადასხვა კითხვებზე პასუხი თავისუფალ გააზრებაში მეგულებოდა, ვიდრე იმ ტექნოლოგიურ (არ მინდა ვთქვა – იდეოლოგიურ) ნარჩოებში, რომელსაც ინსტიტუციონალური ლინგვისტიკა მთავაზობდა. ცხადია, ლინგვისტების ძიებებსა და გამოკვლევებს ვეცნობოდი კიდეც და დიდადაც ვაფასებდი, მაგრამ კონცეფტუალურად არაფერი მაკმაყოფილებდა და განვაგრძობდი ჩემი საკუთარი პასუხის ძებნას. საზღვარგარეთ ცხოვრებამ და თანამედროვე ლინგვისტური თეორიების გაცნობამ გაცილებით მეტი შესაძლებლობა მომცა ჩემი საკუთარი შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად და კონცეფციის დასამუშავებლად. ენის ფილოსოფიით გატაცებამ დამანახა სწორედ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ენის ანალიზისას იმ ტექნიკური და ლინგვისტური მეთოდების ცოდნა, რომელთა გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა ენის და მისი შინაგანი ფორმის განვითარების მთლიანი (ინტეგრალური) ხედვა.

ჩემი ფიქრი უტრიალებდა ერთ მნიშვნელოვან საკითხს: რა გზით ინარჩუნებენ მეგრულ-ლაზური და სვანური ენები ქართველური ოჯახის ნიშნებს, თუ ისინი სამ ეთნოსს წარმოადგენენ, ანუ როგორ იშლება პირველადი ქართველური ეთნოსი სამ ჯგუფად და როგორ სცილდება ეს სამი ჯგუფი ენობრივად ურთიერთს ისე, რომ მიუხედავად ერთ სახელმწიფოდ ფიზიკური თანაარსებობისა, ეთნოსებს არ ესმით ურთიერთის? ქართველური პროტოენის სვანურ, ზანურ და ქართულ ჯგუფებად დაშლის მოდელი, შემოთავაზებული პროფ. გ. დეეტერსის მიერ, და საყოველთაოდ გაზიარებული, დიდ დაუკმაყოფილებლობას ბადებდა. ეს სქემა და მისი ლოგიკა კონცეფტუალურად შეუძლებელი ჩანდა. ჩემი პასუხი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ნაშრომში „ქართველურ ენათა ტიპოლოგია", მაგრამ ეს თვალსაზრისი ალბათ არ იქნებოდა იმგვარად დაფუძნებული, მე რომ მოულოდნელად არ შემხვედროდა სვანური ენის ისეთი მკვლევარი, როგორიცაა ქალბატონი იზა ჩანტლაძე.

ქალბატონმა იზამ გაცნობისთანავე შემომთავაზა ისეთ საქმეში მონაწილეობა, რომელიც ჩემი თვალსაზრისისათვის მეტად მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნიდა, მივახლოვებოდი სვანური ენის საფუძვლებს, სემანტიკურ ველებს. ჩემთვის მნიშვნელოვანი სწორედ ეს კონკრეტული ცოდნა იყო, რათა ჩემს კონცეფციას და თეორიულ ძიებებს საფუძველი ჰქონდა. ქალბატონ იზას აქვს შესანიშნავი თვისება, შემო-

იკრიბოს გარშემო ის ახალგაზრდები, რომელნიც ერთიან ჯგუფად მუშაობენ არჩეული მიმართულებით. ეს ახალგაზრდები ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალ „ივერიას" ავტორთა წრეშიც შემოვიდნენ. ასე, ქალბატონი იზას გავლენით, აღმოვაჩინე მე ჩემი თავი, ქართულ-სვანურ-ფრანგულ ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფში ჩართული, უარის თქმის ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე. ცხადია, ამ სამენოვან ლექსიკონს წინ უნდა უძღოდეს ქართულ-სვანური ლექსიკონი. სწორედ ეს სამუშაო არის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ ლექსიკონზე მუშაობა უკვე დასასრულს უახლოვდება და ჩემი თვალთახედვით, სვანური ენა იმ ფუძეენად ვლინდება და დგინდება, რომელიც საფუძვლად დაედო მთელი ქართველური ეთნოენობრივი ერთობის განვითარებას. მეგრულ-ქართულ ლექსიკონთან ერთად სვანურ-ქართული და მომდევნო სვანურ-ქართულ-ფრანგული ლექსიკონი შეიძლება მივიჩნიოთ ქართველოლოგიური კვლევებისათვის ახალი საფუძვლის ჩადებად. პროფესორ იზა ჩანტლაძის წვლილი ამ საქმეში იძენს იმ სახეს, რომელიც ქართველოლოგიაში მომუშავე დამსახურებულ პიროვნებათა გალერეას დაამშვენებს.

მაგრამ არა მხოლოდ სვანური იტაცებს ქალბატონ იზას.

ბავშვები ქალბატონი იზას განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში არიან. სკოლა, რომელიც მან დააფუძნა და სახელად „კაი ყმა" უწოდა, მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. საგულისხმოა, რომ ამ სკოლაში მოსწავლე ბავშვები ევროპულ ენებს ისევე დაბეჯითებით ეუფლებიან, როგორც ქართულს, თუმცა ქართული მაინც. განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. „კაი ყმა", იმედია, იმ „კაი ყმებს" გამოუზრდის საქართველოს, რომლებზედაც ოცნებობდა ვაჟა ფშაველა, როგორებსაც თავისი მომავალი საქართველოს წარმოსახვაში ხედავდა ილია ჭავჭავაძე და როგორიც შეესატყვისება ახალ საუკუნეს.

ქალბატონ იზას ერთი მეტად საყურადღებო თვისება აქვს. ის არაჩვეულებრივად გულისხმიერია და ყურადღებიანი. ურთიერთობა, თუნდაც საქმიანი, სწრაფად გადაჰყავს მეგობრულ გულთბილობაში და ისეთ ყურადღებას იჩენს ხოლმე, რომ უკუგებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია... მადლობის თქმის მეტი არაფერი გვრჩება. ასე დაუმეგობრდა ქალბატონი იზა დედაჩემს – აქ, ცხადია, გურულობამაც თავისი როლი ითამაშა. ამ ორი გურული ქალის იუმორით გამსჭვალულმა ურთიერთობამ დიდად შეამსუბუქა მარტოობის ის სივრცე, რომელიც მოხუცობაში შესული და მეგობრებშემოცლილი ადამიანის ხვედრია. ამ მადლობით მინდა მივმართო ქალბატონ იზას მეცნიერობისათვის, გულთბილობისათვის და მეგობრული ზრუნვისათვის.

სამეცნიერო ქრონიკა

***

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის სადისერტაციო საბჭომ (P. 10. 01 №9. თავმჯდომარე პროფ. გ. კვარაცხელია)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა:

ზაალ კიკვიძეს.

დისერტაციის თემა: ენა კულტურაში და კულტურა ენაში

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლ. მეცნ. დოქტორი პროფ. ი. ქობალავა.

ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფ. მ. ტაბიძე

ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ც. ბარბაქაძე

დისერტაციის დაცვა გაიმართა 2005 წლის 15 მარტს.

***

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭომ (P. 10. 07. №7. თავმჯდომარე აკად. თ. გამყრელიძე)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა:

მერაბ ბერიძეს.

დისერტაციის თემა: მესხური ტოპონიმების სტრუქტურული და ისტორიული ანალიზის პრობლემები.

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლ. მეცნ. დოქტორი პროფ. ზ. ჭუმბურიძე.

ფილოლ. მეცნ. დოქტორი პროფ. მ. ჯიქია

ფილოლ. მეცნ. დოქტორი პროფ. გ. ბედოშვილი

დისერტაციის დაცვა გაიმართა 2005 წლის 16 მარტს.

საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და კვერად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები...

დედაენის გაცვლა უცხო ენაზედ ადაბლებს ყრმის გონებასა და უსუსურებს ზნეობრივ ძალასა... ამ შემთხვევაში იბადება წინააღმდეგობა ყრმის ეროვნული აგებულების და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს პირი რამდენსამე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი; თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისგან დაყოლილი ჰქონდა უბრალოდ ნიჭი, მაშინ სიტუტუცეზე ჩამოხდება...

იაკობი